# საჩემპიონატო

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 29 ოქტომბერი 2008 №250 (3474) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული საფეხბურთო გეოგრაფია მერამდენედ საფრთხეშია!

„ჭიათურმანგანუმი" თანამშრომლებს უვადო შვებულებაში უშვებს — უცხოეთში მისი პროდუქციის გატანა პარალიზებულია. ეს ნიშნავს, რომ საფრთხის წინაშეა პირველლიგელი „ჭიათურაც", რომელსაც ეს საწარმო პატრონობს.

ვერ იმუშავებს „ჭიათურმანგანუმი", ვერ იმუშავებს ზესტაფონის „ფეროც". არადა, საქართველოს თასის მფლობელი „ზესტაფონის" დაფინანსების ძირითადი წყარო „ფეროა"....

## საქართველო ელიტაშია

### ცოტაც ევროპა დაგვეხმარა

ჩვენს 17-წლამდელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპზე სულ ცოტა დააკლდა ჯგუფში მეორე ადგილზე გასასვლელად და ელიტ-რაუნდში მოსახვედრად. თუმცალა შანსი კიდევ იყო და ამ შანსს საუკეთესო მესამეადგილოსნობა ერქვა. გუშინ კი გაირკვა, რომ სხვა ჯგუფების მესამეადგილოსნებმა ეს შანსი „გვიბოძეს". საქართველო თამაშს აგრძელებს...

## NBA სამოცდამესამედ

წუხელ აშშ-ის სამ ქალაქში — ბოსტონში, ჩიკაგოსა და ლოს ანჯელესში ნბა-ს რიგით 63-ე რეგულარული ჩემპიონატი დაიწყო.

დამთავრების ამბებს ახლა ნუ გამოვიძიებთ, ისე კი უმთავრეს ფავორიტებად ისევ ძველები სახელდებიან — მოქმედი ჩემპიონი „ბოსტონ სელტიქსი" აღმოსავლეთიდან და ვიცეჩემპიონი „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" დასავლეთიდან. ამ უკანასკნელს მეტ შანსსაც აკუთვნებენ იმ გათვლით, რომ 30 წლის კობი ბრაიანტი კარიერის პიკზეა, გვერდით მდგომებიც სულ ყოჩაღი ბიჭები ჰყავს და ჩემპიონობაც ვინძლო, უფრო მეტადაც სწყურია, ვიდრე ჯეელობაში.

გულზე მჯილს იცემს 23 წლის ვარსკვლავბიჭუნა ლებრონ ჯეიმსი, ვინც ჩემპიონობას თუ ვერა, სეზონის უძვირფასესი მოთამაშის წოდებას ხომ მაინც უმიზნებს.

ჩვენი ზაზა ფაჩულია ისევ „ატლანტაშია" და ისევ სათადარიგო ცენტრად ეგებება თავის მეექვსე სეზონს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში.

**ირაკლი ფირაშვილი**

# კუპერი მადრიდიდან ასათიანით ჩამოვიდა

## მწვრთნელმა ფეხბურთელს ფეხი დაუვიწყა





# დიდი შანსია, დღეს ლიდერი შეიცვალოს

## გუშინ კი: დინამოსგან დაჩაგრული ლოგიკა და ზურაბ იონანიძის კარგა ხანს დაუმხობელი რეკორდი



გუშინდელი სიონი — დინამო. წარმატებულმა მათე ვაწაძემ ბოლნისელები წააქცია





# კონფლიქტი ამოიწურა? კუპერი მადრიდიდან ასათიანით ჩამოვიდა

**საქართველოს** ეროვნულ ნაკრებს წლეულს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები აღარ ელის, თუმც 19 ნოემბერს რუმინეთში ერთ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს მასპინძლებთან.

ამ თვეში ჩვენმა ნაკრებმა შესარჩევი ტურნირის ორი მატჩი გამართა და ორივე ფრედ დაასრულა — კვიპროსთან 1:1, ბულგარეთთან კი 0:0.

ეს მატჩები ერთმანეთისგან ისე განსხვავდებოდა, როგორც ცა და მიწა — კვიპროსელებთან ქართველებს უამრავი ხარვეზი ჰქონდათ და წაგებასაც იმსახურებდნენ, აი, ბულგარელები კი ბურთს არ გააკარეს, მაგრამ, სამწუხაროდ, გოლი ვერა და ვერ გაიტანეს.

ბულგარეთთან მატჩმა მთავარი მაინც დაგვანახა — გამართული ფეხბურთის თამაში ქართველებსაც შეუძლიათ.

ჩვენი ნაკრების არგენტინელი თავკაცი ექტორ რაულ კუპერი ამ შეხვედრის შემდეგ მადრიდში წავიდა, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობს და გუშინ ღამით უკვე თბილისში დაბრუნდა.

კუპერმა ეროვნული ნაკრების მენეჯერ თამაზ ბოკერიას 50-კაციანი სია მიაწოდა და სარუმინეთოდ სავიზო საქმეების მოგვარება დაავალა.

როგორც შევიტყვეთ, ამ სიაში მოხვდა კიევის „დინამოს" მცველი მალხაზ ასათიანი.

რა შეხსენება უნდა, რომ ასათიანი კვიპროს-ბულგარეთთან მატჩებისთვის კუპერმა არ გამოიძახა. მიზეზი ის იყო, რომ ასათიანმა იტალიის ნაკრებთან მატჩამდე არგენტინელს სთხოვა, თუ არ გჭირდები, კლუბს შევუერთდებიო. კუპერმაც გაუშვა, თუმც, როგორც მერე გამოჩნდა, ფეხბურთელის ასეთი საქციელი არ ესიამოვნა.

ვერ გეტყვით, რა შეიცვალა მას შემდეგ, მაგრამ, რაც მთავარია, ჩანს, მხარეებს შორის კონფლიქტი აღარ არის და ასათიანიც ამ გაფართოებულ სიაში მოხვდა, რაც გუშინ ბოკერიამაც დაგვიდასტურა: „ასათიანი ნამდვილად არის ამ გაფართოებულ სიაში, მეტს ველარაფერს გეტყვით".

**ნუკრი ლოლაძე**

# რა ემუქრება „ზესტაფონს" და „ჭიათურას"?
## იმერეთიდან ცუდი ხმები ისმის

**ქართული** კლუბების უმრავლესობა რომ უსახსრობით ლაფავს სულს, ახალი ამბავი არ არის. უმაღლეს ლიგაში სამი-ოთხი კლუბია, წელგამართული რომ ეთქმის და როგორც გუშინ შევიტყვეთ, ერთ-ერთს ფინანსური კრიზისი ემუქრება. ეს „ზესტაფონია"!

საქმე ის არის, რომ ამ კლუბის დაფინანსების ძირითადი წყარო „ფეროდან" მოდის, რომელსაც გარკვეული ხნით გაჩერება ემუქრება. მოგეხსენებათ, „ფეროს" მუშაობა „ჭიათურმანგანუმზეა" დამოკიდებული.

„ჭიათურმანგანუმი" კი თანამშრომლებს უვადო შვებულებაში უშვებს, მიზეზად ის სახელდება, რომ ჯერჯერობით შეფერხებულია უცხოეთში მარგანეცის გატანა, რაც პარალიზებულს ხდის „ჭიათურმანგანუმს" და „ფეროს".

ასე რომ, პირველლიგელი „ჭიათურაც", რომელსაც სწორედ „ჭიათურმანგანუმი" პატრონობს და „ზესტაფონიც", დიდი პრობლემის წინაშე დგანან.

ამას წინათ „ჭიათურას" ფეხბურთელები უხელფასობის გამო გაიფიცნენ კიდეც და თუ ასეთი სიდუხჭირე იქნება, ამ ზემოიმერულ გუნდს დაშლა ემუქრება.

გეხსომებათ, წინა სეზონში ჭიათურელებმა უმაღლესი ლიგის საგზურიც მოიპოვეს და მაშინაც უფულობის გამო გახდნენ იძულებულნი, პირველ ლიგაში დარჩენილიყვნენ.

ისედაც ხომ არ აკლდა ქართულ საკლუბო ფეხბურთს პრობლემები და ორმა გუნდმაც თუ შეწყვიტა არსებობა, მდგომარეობა მართლაც კატასტროფული იქნება.

იმედი დავიტოვოთ, რომ საქმე აქამდე არ მივა...

**ნუკრი ლოლაძე**

# საქართველო ელიტაშია!



**ჩვენი** გასაკეთებლის ნახევარი სხვამ გააკეთა: საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში ითამაშებს.

გელა შეყილაძის გუნდმა 23-29 სექტემბერს შესარჩევ ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა. გუშინ კი დასრულდა ყველა შესარჩევი ჯგუფის მატჩები და გაირკვა, რომ საქართველომ ელიტ-რაუნდში საუკეთესო მესამეადგილოსნობით გააღწია.

ორ საუკეთესო მესამეადგილოსნებს შორის მეორე ყაზახეთია.

ელიტ-რაუნდის წილისყრა 4 დეკემბერს შვეიცარიის ქალაქ ნიონში შედგება. ტურნირი კი მარტში გაიმართება.

შეგახსენებთ: ელიტ-რაუნდის გამარჯვებულები ითამაშებენ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, რომელსაც 6-18 მაისს გერმანია უმასპინძლებს.

**კახა შალამბერიძე**

## ავსტრია

**თასი**

ვიურმლა 0:1 ადმირა
ლუშტენაუ 1:5 აუსტრია
რაპიდი (მ) 5:1 მატერსბურგი
რიდი 3:2 რაპიდი
ზალცბურგი 1:2 აუსტრია (მ)
ველსი 0:3 კაპფენბერგი
ვაინერბერგერი 0:1 ნოიშტადტი

## ინგლისი

**პრემიერლიგა**

ნიუკასლი 2:1 ვესტ ბრომვიჩი
1:0 ბარტონი (93), 2:0 მარტინსი (42), 2:1 მილერი (65)

**ჩემპიონატი**

ბრისტოლი 0:0 შეფილდი
ბარნლი 1:0 რედინგი
კარდიფი 2:0 ბლეკპული
დერბი 3:1 ნორვიჩი
დონკასტერი 0:1 ბარნსლი
იფსვიჩი 1:1 ჩარლტონი
პრესტონი 2:0 უოტფორდი
უენსდი 0:1 პლიმუთი
საუთჰემპტონი 1:1 ძოვენთრი
ვულვზი 2:1 სუონსი
კრ. პალასი 1:2 ნოტინგემი
ქუინზ პარკი 1:0 ბირმინგემი

**I ლიგა**

ბრაიტონი 3:2 ლესტერი
კარლაილი 0:1 ჰარტლპული
ძრიუ 1:1 პიტერბრო
ჰადერსფილდი 0:0 იოვილი
ლეიტონი 1:2 მილტონი
მილუოლი 1:0 ჰერეფორდი
ოლდემი 3:0 სკანთორპი
სტოკპორტი 0:0 ტრანმერი
უოლსოლი — სუინდონი
ნორთჰემპტონი — კოლჩესტერი
*გადაიდო*

**II ლიგა**

ალდერშოტი 1:0 პორტ ვეილი
ბრედფორდი 1:0 ბარი
ჩესტერი 3:0 ბრენტფორდი
დაგენემი 4:0 გრიმსბი
ექსეტერი 1:6 ჩესტერფილდი
ლინკოლნი 2:0 ჟილინგემი
მორეკომბი 1:1 აკრინგტონი
ნოტსი 1:2 როჩდეილი
როტერჰემი 0:1 დარლინგტონი
შრიუსბერი 2:2 ბარნეტი
უიკომბი — მაკლსფილდი
ლუთონი — ბორნმუთი
*ჩაიშალა*

## ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი

**შესარჩევი ეტაპი**

იტალია 2:5 ჰოლანდია
ლატვია 2:0 კვიპროსი

## საფრანგეთი

**I დივიზიონი**

ბორდო 4:0 ლე ავრი
1:0, 2:0 ბელიონი (29, 48), 3:0 კავენაგი (71), 4:0 ვენდელი (80)

## უელსი

**ლიგის თასი**

აბერისთვითი — ძეარსვსი
დრუიდსი — ტნს
ნიუთაუნი — ნითი
*გადაიდო*

## ჩეხეთი

**თასი**

ლიბერეცი 0:2 ოლომოუცი

## გერმანია

**I ბუნდესლიგა**

არმინია 1:1 კოტბუსი
0:1 რანგელოვი (31), 1:1 ვიშნიარეკი (63)
ვერდერი 0:2 ლევერკუზენი
0:1 ვიდალი (71), 0:2 ფრიდრიხი (81)
კარლსრუე 0:3 შალკე
0:1 ბორდონი (15), 0:2 კურანი (19), 0:3 ფარფანი (68)
ვოლფსბურგი 3:0 გლადბახი
1:0 ლიბანო (40), 2:0 მადლუნგი (55), 3:0 მისიმოვიჩი (753)

**II ბუნდესლიგა**

ალემანია 0:2 ალენი
აუგსბურგი 2:2 ფრანკფურტი
ჰანზა 1:2 ფიურტი
ვეენი 0:0 ინგოლშტადტი

**III ლიგა**

აუე 1:0 ერფურტი
კარლ ცაისი 2:2 ბურგჰაუზენი
პადერბორნი 0:1 ვუპერტალი
კიკერსი 2:2 უნიონი

**სამხრეთ რეგიონალლიგა**

მიუნხენი (მ) 0:1 ნიურნბერგი (მ)

**დასავლეთ რეგიონალლიგა**

დორტმუნდი (მ) 1:2 ლაუტერნი (მ)
ლევერკუზენი (მ) 2:1 ტრირი
გლადბახი (მ) 2:0 კლოპენბურგი
ოგერხაიმი 2:1 ბოხუმი (მ)

## საბერძნეთი

**თასი**

ზაკინტოსი 0:2დ.დ. (0:0) პანთრაკიკოსი
მაკედონიკოსი 1:2 პაოკ

## ირლანდია

**I დივიზიონი**

ეთლოუნი 0:1 ფინგალი

## იტალია

**სერია B**

ალბინოლეფე 2:0 ასკოლი
ანკონა 2:2 ლივორნო
ბრეშა 1:0 სალერნიტანა
ჩიტადელა 1:1 ბარი
ფროზინონე 1:0 პიაჩენცა
გროსეტო 4:1 ტრევიზო
პარმა 2:1 ტრიესტინა
პიზა 1:1 აველინო
რიმინი 1:0 მანტოვა
სასუოლო 0:4 ემპოლი
ვიჩენცა 2:2 მოდენა

## ჰოლანდია

**ერედივიზიონი**

დენ ჰააგი 0:2 პსვ
როდა 0:2 ალკმაარი
ვოლენდამი 2:2 ტილბურგი

## პოლონეთი

**თასი**

კმიტა 0:2 პოლონია
კრაკოვია 3:0 ლოძი
ოდრა (ო) 0:2 რუხი
ლეხი 1:0 ოდრა (ვ)

## შვედეთი

**ალსვენსკა**

გაის 0:3 ჰელსინგბორგი
ლიუნგსკილე 1:3 მალმიო

## შოტლანდია

**ლიგის თასი**

დანდი იუნ. 1:0 დანფერმლაინი
ფოლკირკი 1:0 ინვერნესი
რეინჯერსი 2:0 ჰემილტონი

## უკრაინა

**თასი**

ოზოლონი 1:4 ვორსკლა

## ესპანეთი

**კოპა დელ რეი**

ბენიდორმი 0:1 ბარსელონა

სარბიელელები თანავუგრძნობთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ავთანდილ შალამბერიძეს
**ძმის**
და სარბიელელ კახა შალამბერიძეს
**ბიძის**
გარდაცვალების გამო

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 8 ტური

ბოლნისი. 28 ოქტომბერი. 15 საათი. თ. სტეფანია. 1 000 მაყურებელი

## სიონი 1:2 დინამო

1:0 კოშკაძე (9), 1:1 ვაწაძე (18), 1:2 მერებაშვილი (73)

სიონი: ბობღიაშვილი, დ. სვანიძე, ქემოკლიძე (რ. გოცირიძე 79), ხუბუა, ქურასბედიანი (დიდავა 46), ზ. ჭელიძე, ლ. სანიკიძე, ა. ალავიძე (შ. ჯიქია 74), შავგულიძე, კოშკაძე, ი. შენგელია
სათადარიგონი: ქვაჩახია; თავბერიძე, დავითაშვილი, ლ. ბაჯელიძე
მწვრთნელი: ბესიკ უგულავა

დინამო: ოვონო, თომაშვილი (შ. კაშია 62), გ. კაშია, კრშკო, ელიავა, ოდიკაძე, ნერგაძე, დილმელაშვილი (ფირცხალავა 74), გველესიანი, გ. მერებაშვილი (სპასოევიჩი 79), ვაწაძე
სათადარიგონი: ლორია; ინწკირველი, ჯიუსი, ჯიშკარიანი
მწვრთნელი: რაინერ ცობელი

გაფრთხილება: გ. კაშია (68), ხუბუა (77)

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ბ. ქიჟინაძე, დ. ხარიტონაშვილი

# მერებაშვილმა ლოგიკას გაუტანა

**ილია ნანობაშვილი ბოლნისიდან**

**თბილისის** „დინამოს“ თავკაცმა რაინერ ცობელმა ნამატჩევს თქვა, ცოტა იღბალი წაგვეხმარაო, „სიონის“ მწვრთნელმა ბესიკ უგულავამ კი, ფრე ლოგიკური შედეგი იქნებოდაო.

წამითაც არ იფიქროთ, თითქოს თბილისელებმა დაუმსახურებლად მოიგეს, მაგრამ ბოლნისელები შეგვეცოდნენ — მართლაც ცოტაღა დააკლდათ სასურველ შედეგამდე. ეს შედეგი კი, ფრე კი არა, სულაც გამარჯვება შეიძლება ყოფილიყო.

...მატჩის დასაწყისი თვალსასეირო გამოდგა და მთლიანად, 90 წუთი არ განელებულა ტემპი, მაგრამ პირველი წუთებიდან დავიწყოთ: დინამოელთა ფორვარდმა მათე ვაწაძემ გაიტანა, მაგრამ თამაშგარე აღნიშნეს — საეჭვო ჩანდა გვერდითი მსაჯის გადაწყვეტილება...

მე-9 წუთზე კი „სიონმა“ შეაგდო: ირაკლი შენგელიამ საჯარიმოში მიიღო ბურთი, ალეკო კოშკაძეს შეაყოლა და მანაც ახლო მანძილიდან არამუშა მარჯვენა ფეხით ზუსტად დაარტყა — 1:0.

მალევე შენგელიას შეეძლო კოშკაძის პასით გატანა, ერთი შეხებით დაარტყა და ააცილა.

„სიონი“ თითქოს აკონტროლებდა სიტუაციას, მაგრამ ვაწაძე სხვანაირად ფიქრობდა; ოლეგ გველესიანის ჩაწოდებულს ეფექტური თავურით კარის კუთხეში მიუჩინა ადგილი და 1:1.

თანაბარი, ლაზათიანი თამაში იყო და „დინამოს“ უპირატესობა ტაიმის ბოლოსკენღა გამოიკვეთა, როცა გიორგი მერებაშვილმა ოდნავ ააცილა, მერე კი დავით ოდიკაძის პასით ვაწაძე პირისპირ შეეყარა მინდია ბობღიაშვილს — მეკარემ იყოჩაღა.

მეორე ნახევარი პირიქით, „სიონის“ კარნახით დაიწყო, კოშკაძე-შენგელიას აქტიურობაში გელა ხუბუაც აჰყვა და კინაღამ... აი, შენგელიამ თავურით სუპერმომენტი გააცუდა — ხუბუას ჩაწოდებულს ოდნავ უზუსტოდ დაჰკრა.

68-ე წუთზე ლევან სანიკიძემ შენგელიას თავური პასის შემდეგ თხუთმეტი მეტრიდან ძელს შეაწყვიტა ბურთი.

მოკლედ, „სიონი“ უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ გოლი აქეთ, ბობღიაშვილის კარში გავიდა: მერებაშვილი ჩვეულებრივ აქტიური ვერ იყო გუშინ, მაგრამ გადამწყვეტი გოლი კი გაიტანა, თანაც, ლამაზად — ვაწაძის თავით დაგდებულ ბურთს 20-22 მეტრიდან დაარტყა და ბილიარდივით შეასრიალა კუთხეში.

მასპინძლებს იქვე შეეძლოთ გათანაბრება, როცა სანიკიძე იოლად გასცდა ზაალ ელიავას და ხელსაყრელი ადგილიდანაც დაარტყა, თუმც ბურთი დინამოელთა მცველებს მოხვდათ.

ბოლოს ოდიკაძის პასით გველესიანს შეეძლო სხვაობის გაზრდა, მაგრამ ბობღიაშვილმა ფეხით მოიგერია ბურთი.

კარგი საყურებელი თამაში იყო, თავისი ლამაზი მომენტებით და გოლებით — ნეტავ, ასეთი ბევრი იყოს ჩვენს ჩემპიონატში.



გიორგი მერებაშვილის გადამწყვეტი გოლი

### პრესკონფერენცია

*რაინერ ცობელი:* ვიცოდით, რომ რთული თამაში გველოდა და მოხარული ვარ სამი ქულით. „სიონი“ კომპაქტურად თამაშობდა, კარგი იყო კონტრშეტევებზე. პირველ ტაიმში ჩემს გუნდს ბრძოლისუნარიანობა აკლდა. თანაც, ფლანგებს იშვიათად ვიყენებდით. აი, როცა ფლანგებიდან დავიწყეთ შეტევები, „სიონს“ პრობლემები გაუჩნდა.

*ბესიკ უგულავა:* ვფიქრობ, ფრე ლოგიკური იქნებოდა. 1:0-ზე რომ მომენტი გამოგვეყენებინა, სხვა შედეგს მივიღებდით, მაგრამ ეს ფეხბურთია...

# იონა ოთხასიანია!

**ბექან ჩხეიძე ბორჯომიდან**

**„ბორჯომი“** რომ ანგარიშგასაწევი ძალაა, ამ მატჩმაც დაადასტურა. რაც შეეხებათ სტუმრებს, წინა ტურში გამარჯვების შემდეგ საგრძნობლად მიუახლოვდნენ ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდებს.

საწყისი წუთები სტუმრების იყო, უფრო მობილიზებულნი ჩანდნენ.

მე-13 წუთზე მასპინძელთა შორის ყველაზე აქტიური ირაკლი კიკნაძეს მეკარესთან პირისპირ გაჰყავდა გიორგი ალავერდაშვილი, მაგრამ გრიგოლ ჭანტურიამ დაასწრო და ფეხით მოიგერია ბურთი.

22-ე წუთზე ნიკა გელაშვილი ცდილობდა შეტევის დაგვირგვინებას, მაგრამ მის დარტყმული საკმაოდ ასცდა კარს. მალე გიორგი ხიდეშელმაც ააცილა...

26-ე წუთზე კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ნოზაძემ შეუჩერებლად დაარტყა, მაგრამ ჭანტურიამ იყოჩაღა...

ნელ-ნელა უპირატესობა სტუმრებმა იგდეს ხელთ და ტაიმის ბოლოსკენ მათ აქტიურობას შედეგიც მოჰყვა. 39-ე წუთზე მასპინძლებს სტუმართა კონტრშეტევა გაეპარათ, ერიკ რომეო ჩასემმა კარგად შენიშნა საჯარიმოსკენ დაძრული გელაშვილი, ნიკამ წამით დაასწრო წინ გამოსულ ბექა შეყრილაძეს და 0:1.

ზესტაფონელთა თავდასხმას ეტყობოდა ბექა გოცირიძის არყოფნა — ის ტრავმის გამო ვერ ეხმარებოდა გუნდს.

მეორე ტაიმშიც სტუმრები გამოირჩეოდნენ. „ზესტაფონი“ მეორე გოლის გატანას ესწრაფვოდა.

ონიანი-ხიდეშელი-ონიანის კომბინაცია არაზუსტი დარტყმით დასრულდა. ირაკლი ძარიას პასისას გელაშვილმა შეყრილაძეს ვერ აჯობა, ედსონ სანტოსის თავური ხარიხას მოხვდა, ძარია-გელაშვილის კომბინაციის შემდეგ ისევ შეყრილაძემ გადაარჩინა მასპინძლები...

75-ე წუთზე კი სევასტი თოდუა ცდილობდა, თავით დაებრუნებინა ბურთი ჭანტურიასთვის. კიკნაძემაც უმალ ისარგებლა, გადაავლო ბურთი წინ გამოსულ მეკარეს და საჯარიმოში შერბენილმა ბაქრაძემაც ზუსტად დაარტყა — 1:1.

ერთიც: ამ მატჩში ღირსშესანიშნავი მომენტი იყო ზურაბ იონანიძის გამოჩენა. როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, ეს თამაში „იონასთვის“ საიუბილეო, მე-400 იყო ეროვნულ ჩემპიონატებში.

### პრესკონფერენცია

*თემურ მახარაძე:* პირველი ტაიმი დაძაბული გამოდგა. „ბორჯომმა“ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. უპირატესობას ჩვენ ვფლობდით, მაგრამ დასანანი გოლი გაუშვით. ვწუხვარ, ამხელა უპირატესობა ვერ შევინარჩუნეთ.

*გიორგი სუხიაშვილი:* გოლი უხეში შეცდომის გამო გავუშვით. მეორე ტაიმში ჩემს ფეხბურთელებს ვაფრთხილებდი, რომ კონტრშეტევაზე გვეთამაშა. თანამედროვე ფეხბურთში ვინც მეტს იბრძვის და მოძრაობს, ძალა იმის ხელშია. მადლობელი ვარ ბიჭების. ძლიერ მეტოქესთან ავიღეთ ქულა, რასაც ჩვენთვის ოქროს ფასი აქვს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 7 | 5 | 1 | 1 | 8:3 | 16 |
| ლოკომოტივი | 6 | 5 | 0 | 1 | 9:2 | 15 |
| დინამო | 7 | 4 | 0 | 3 | 12:8 | 12 |
| მგლები | 7 | 4 | 0 | 3 | 10:6 | 12 |
| ზესტაფონი | 7 | 3 | 2 | 2 | 5:4 | 11 |
| სიონი | 7 | 2 | 3 | 2 | 6:4 | 9 |
| ბორჯომი | 8 | 2 | 3 | 3 | 8:12 | 9 |
| გაგრა | 7 | 2 | 1 | 4 | 7:11 | 7 |
| მესხეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:7 | 5 |
| ოლიმპი | 6 | 0 | 4 | 2 | 4:7 | 4 |
| სპარტაკი | 6 | 1 | 0 | 5 | 4:12 | 3 |

ბორჯომი. 28 ოქტომბერი. 15 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი. 800 მაყურებელი

## ბორჯომი 1:1 ზესტაფონი

0:1 გელაშვილი (39), 1:1 ბაქრაძე (75)

ბორჯომი: შეყრილაძე, ქარქუზაშვილი, ლაცაბიძე, ვაჩიბერიძე, ვ. ხორგუაშვილი, ნოზაძე (ი. ლომიძე 55), ლ. ვაშაკიძე, ი. კიკნაძე ალავერდაშვილი (დევიძე 90), ბეჟანიძე (ბაქრაძე 73), ავალიანი
სათადარიგონი: ჯინჭარაძე, ნ. ლომიძე, გოგიჩაიშვილი, კილაძე
მწვრთნელი: გიორგი სუხიაშვილი

ზესტაფონი: ჭანტურია, ფრიდოლინი (ნ. კვასხვაძე 80), ს. თოდუა, სანტოსი, დაუშვილი, გ. ხიდეშელი (ბენაშვილი 84), რ. ონიანი, ძარია (იონანიძე 72), ლომაშვილი, ჩასემი, გელაშვილი
სათადარიგონი: რ. კვასხვაძე, შ. ლონლაძე, გ. ჭელიძე, გორგიაშვილი
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

გაფრთხილება: გელაშვილი (47), ი. ლომიძე (76), ბაქრაძე (90), კიკნაძე (90)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, მ. ქუხილავა, ზვ. ერქვანია, ა. კრიჭაშვილი

დამკვირვებელი: მ. მალალურაძე; დელეგატი: დ. ფრანგიშვილი

გორი. 29 ოქტომბერი. 15 საათი. ქართლი

## სპარტაკი — ლოკომოტივი

მსაჯები: ვ. გუმბერიძე, ზვ. გურგენიძე, მ. ელიკაშვილი, თ. გვანცელაძე

ზუგდიდი. 29 ოქტომბერი. 15 საათი. გ. თუთბერიძე

## მგლები — მესხეთი

მსაჯები: ლ. სილაგავა, კ. გაბრიაძე, ზ. ჯვარიძე, გ. დოგრაშვილი

თბილისი. 29 ოქტომბერი. 15 საათი. ამერი

## გაგრა — ოლიმპი

მსაჯები: ო. ხეცაძე, ზ. მენთეშაშვილი, ო. მოლოდინაშვილი, ლ. კვარაცხელია

# სანდრო გურული: ეროვნული ნაკრები ჩემი სიხარულია!

## უკრაინის სიმბოლური ქართველი

სანდრო გურულმა საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებში სულ რამდენჯერმე ითამაშა — ეს 2005 წელს, როცა გოჩა ტყებუჩავა იყო მწვრთნელი. მაშინ ეროვნულ ნაკრებს ალენ ჟირესი თავკაცობდა, ხოლო მისი ასისტენტი სანდროს მამა, გია გურული გახლდათ.
სულ ორი-სამი თამაში და სანდრო ახალგაზრდულ ნაკრებში დაივიწყეს, არადა, აშკარად ეტყობოდა, ნიჭიერი ბიჭი იყო. გურულს საქართველოს ჩემპიონატში არც უთამაშია, საფრანგეთში გაიზარდა და „ლიონის" საფეხბურთო აკადემიაში თამაშობდა, შემდეგ იქაური მეოთხე დივიზიონის „ლიონ-დუშერში" ჩაირიცხა და გუნდის საუკეთესო ფეხბურთელად იქცა. სანდრომ საფრანგეთის თასზეც გამოიჩინა თავი, სწორედ მისი ლიდერობით მოახერხა „დუშერმა" „სტრასბურისა" და „სენტ-ეტიენის" გამოთიშვა, მერე ერთი სეზონი ჩვენიანმა ფრანგული მესამე დივიზიონის „ლასვენში" გაატარა, საიდანაც ისევ „დუშერს" დაუბრუნდა, მაგრამ ცოტა ხნით. თვენახევრის წინ 22 წლის სანდრო უკრაინული უმაღლესი ლიგის ლვოვის „კარპატიში" ჩაირიცხა და გასული თვის გუნდის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს ფანებმა. „კარპატი" გრანდი არაა, მაგრამ საფრანგეთის მეოთხე დივიზიონიდან წამოსული ქართველი ბიჭის ასეთი აღიარება პატარა საქმე არ უნდა იყოს. სანდრომ უკვე ხუთი მატჩი ჩაატარა „კარპატიში" და გასული ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა. დასავლეთუკრაინული გუნდის თავკაცი ოლეგ კონონოვი ჩვენიანზე ამბობს, მშვენიერი შენაძენია, ქართველს გუნდის ლიდერობა შეუძლია და მისი მოსვლის შემდეგ „კარპატის" თამაში გაუმჯობესდაო. მოკლედ, საინტერესო ახალგაზრდაზე გვაქვს ლაპარაკი, რომელიც ალბათ ეროვნული ნაკრებიდანაც იმსახურებს ყურადღებას — მით უმეტეს, გუშინ სანდროს ლვოვში რომ დავუკავშირდით და ნაკრებზე ჩამოვუგდეთ სიტყვა, წინადადება დამთავრებულიც არ გვქონდა, რომ გვიპასუხა, ეგ ჩემი ოცნებაა და ღმერთმა ქნას, მალე მეღირსოსო...



— ჯერ ის ვთქვათ, „კარპატიში" როგორ მოხვდი...

— „ლიონ დუშერში", საფრანგეთის მეოთხე დივიზიონში, თამაში აღარ მინდოდა. ბელგიის მეორე დივიზიონის „ნამურში" მივედი სავარჯიშოდ, თუმც ამ კლუბში პრეზიდენტი შეცვალეს, თან რაღაც არეული სიტუაცია იყო და უცებ, მამაჩემმა გამონახა „კარპატის" ვარიანტი. ლვოველები უნგრეთში იყვნენ შეკრებაზე და მამაჩემმა მითხრა, სცადე ბედიო.

— დიდხანს იყავი გასინჯვაზე?

— არა, სულ ერთი კვირა. „კარპატის" მოვეწონე და კონტრაქტიც მალე გაფორმდა.

— კიდევ კარგი, „კარპატი" გამოჩნდა. აბა, სად ბელგიის მეორე დივიზიონი და სად უკრაინის უმაღლესი ლიგა...

— რა თქმა უნდა, შედარებაც არ არის. ეგ კი არა, ახლა იმასაც მივხვდი, რომ ბელგიის იუპილერლიგასაც სჯობია უკრაინის ჩემპიონატი. უბრალოდ, ბელგია ვიცოდი, უკრაინაზე კი თითქმის გაგონილიც არ მქონდა და ცოტა ეგზოტიკურად მეჩვენებოდა. მაგარია აქაურობა, აგერ, „შახტარმა" კინაღამ „ბარსელონას" მოუგო, კიევის „დინამო" კი თამაშს არ აგებს ჩემპიონთა ლიგაში.

— გუნდში როგორ მიგიღეს? ცნობილია, რომ ლვოვში ქართველებს ძალიან აფასებენ...

— ძალიან კარგად შემხვდნენ. თავიდან ყველანი ინტერესით და გამომცდელად მიყურებდნენ, მაგრამ რომ ნახეს, ფეხბურთი ვიცი, უცებ დამიმეგობრდნენ. დიახ, ქართველებიც უყვართ აქ, ამას თავიდანვე მივხვდი. ლვოვში თითქმის სულ უკრაინელები არიან და რუსები არ უყვართ — როგორც საქართველოში არ უყვართ, ისევეა აქ...

— რა ენაზე კონტაქტობ გუნდში?

— რუსულ-ინგლისურად. ასე თუ ისე, ვაგებინებთ ერთმანეთს. აქამდე რუსული არ დამჭირვებია და თურმე ცოტა კი მცოდნია...

— 99 ნომერი რატომ აირჩიე?

— პირველიდან თერთმეტ ნომრამდე დაკავებული დამხვდა, 99 კი რონალდოს ეცვა „მილანში" და ამიტომ. რონალდო ძალიან მომწონს.

— რა პოზიციაზე თამაშობ „კარპატიში"?

— 4-3-3 სქემაში მარჯვენა ცენტრალური ნახევარმცველი ვარ. აქ უმეტესად ამ პოზიციაზე ვთამაშობ, თუმც ხშირად ვიცვლი ამპლუას — გამთამაშებლადაც დამაყენეს, ფლანგზეც...

— გვახსოვს, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში უკანდაწეული თავდამსხმელად თამაშობდი...

— არც ესაა უცხო. „ლიონ-დუშერში" უფრო მარჯვენა ნახევარმცველი ან გარემარბი ვიყავი, ოღონდ ცენტრში ხშირად შევდიოდი. აი, დაახლოებით კრიშტიანუ რონალდუ რომ თამაშობს „მანჩესტერ იუნაიტედში", ისე. მოკლედ, შეტევაში ბევრგან შემიძლია თამაში.

— „კარპატის" რა მიზნები აქვს?

— რაც შეიძლება, მაღალი ადგილის დაკავება. ვიცით, რომ კიევის „დინამოსა" და „შახტარს" ვერ შევედრებით, დანარჩენ კლუბებთან კი თანაბრად თამაში შეგვიძლია.

— გასულ ტურში უკრაინელმა ჟურნალისტებმა სიმბოლურ ნაკრებშიც შეგვიყვანეს...

— ძალიან გამიხარდა. პატივისცემას ყველგან ვგრძნობ, მოკლედ, საფრანგეთის მერე კარგი არჩევანი გავაკეთე.

— საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მოხვედრის იმედიც გექნება...

— ეს ჩემი ოცნებაა და ნეტავ, მალე მოხდეს. ძალიან გამიხარდება. იმედია, შრომას არ დამიკარგავენ, სულ სხვა პრესტიჟია, როცა შენი ქვეყნის ნაკრებში თამაშობ.

**ილია ნანობაშვილი**

ლიტვურმა „კაუნასმა" ბალტიის თასის ფინალში ლატვიურ „სკონტოს" 2:1 მოუგო. ფინალი ძალიან დაძაბული და საინტერესო გამოდგა და მასში ოთხმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა — მოგებულთაგან აკაკი ხუბუტიამ და ნუკრი მანჩხავამ, ხოლო წაგებულთაგან დავით გამეზარდაშვილმა და ლადო დვალიშვილმა. ოთხივე სრულად გაისარჯა, დვალიშვილი კი გოლითაც გამოირჩა... ნუკრი მანჩხავას თასის მოგება მივულოცეთ, ფინალზეც ველაპარაკეთ და სხვა ამბებსაც შევეხეთ:

# მანჩხავა-ხუბუტიამ ბალტია ჩაიხუტეს

## ნაკრებში? ნეტავ, მაგრამ...

— კარგი, დაძაბული თამაში გამოვიდა, პირველ ტაიმში მეტოქეს ვაჯობეთ და 2:0 წავიყვანეთ ანგარიში, შესვენების შემდეგ კი დაცვიდან ვითამაშეთ და უპირატესობა „სკონტოს" ჰქონდა.

— ქართველებმა როგორ ითამაშეთ?

— ნორმალურად. მე ტრადიციულად მარცხნივ ვიყავი, ხუბუტიამ ცენტრალურ მცველად ითამაშა. სკონტოელი ჩვენიანებიც კარგად გამოიყურებოდნენ.

— როგორც ვიცით, ჩხუბიც ამტყდარა ფეხბურთელებს შორის...

— დაძაბულობა იყო, პატარა ინციდენტი მოხდა, მაგრამ ძალიან არ გართულებულა საქმე. ისეთი არაფერი...

— როგორც ჩანს, ბალტიის თასი პრესტიჟული ვერ გახდა. „კაუნასმა" ფინალამდე თითქმის სულ დუბლებით ითამაშა...

— შეიძლება, მართლაც ვერ არის ბალტიის თასი ისეთი პრესტიჟული, მაგრამ პირადად მე ძალიან გამიხარდა მისი მოგება. რაც აქ ვთამაშობ, ყველაფერი მოვიგე, ჩემპიონობა თასი თუ სუპერთასი არაერთხელ ავიღე, ბალტიის თასიღა მრჩებოდა. ისე, მართალია, ფინალამდე „კაუნასის" მეორე შემადგენლობა მივიდა. „სკონტოსთან" კი ძირითადის ფეხბურთელებიც ვიყავით. ასე ვთქვათ, შერეული შემადგენლობით ვითამაშეთ.

— ეს კარგი, მაგრამ ლიტვის ჩემპიონობა წლეულს ძალიან გაგიჭირდებათ — „ეკრანასმა" გაგისწროთ...

— ჯერ ადრეა. „ეკრანასს" ჩვენზე ერთი მატჩით მეტი აქვს ჩატარებული და თან, მათთან ორი თამაში ჩასატარებელი გვაქვს. ექვსი ტური დარჩა და თუ ყველას მოვიგებთ, ჩემპიონები გავხდებით. მთავარია, „ეკრანასი" ორივეჯერ დავამარცხოთ.

— შენ „კაუნასში" რჩები თუ წასვლაზე ფიქრობ?

— ჯერ არ ვიცი. კონტრაქტით ერთი წელი დამრჩა აქ სათამაშო.

— შემოთავაზებები თუ გაქვს?

— კონკრეტულად არაფერი გამიგია. „კაუნასის" მფლობელი ვლადიმირ რომანოვი წყვეტს ყველაფერს, მასთან კარგი ურთიერთობა მაქვს და არ მინდა, გავიფუჭო. მოკლედ, წასვლაზე არ მიჭირავს თვალი.

— საქართველოს ნაკრებში არ გიწვევენ — ამ თემაზე შენთან ბევრჯერ გვისაუბრია და მგონი, ახალს ვერაფერს იტყვი...

— მართლაც, აზრი არა აქვს. ძალიან კი მინდა ნაკრებში თამაში, მაგრამ... გამოძახებას ვინ ჩივის, არც არავინ დაინტერესებულა, როგორ ვთამაშობ.

— რამდენადაც ვიცით, ნაკრების ახალი სამწვრთნელო შტაბი ლეგიონერების თამაშს უფრო დიდი ინტერესით დააკვირდება. შესაძლოა, კაუნასშიც ჩამოვიდნენ...

— ნეტავ. თუმცა ახლა უკვე მთავრდება სეზონი, ექვსი თამაშიღა დარჩა და გაისად სეზონი აპრილში განახლდება. დაგვიანებული ხომ არ იქნება?!

**ილია ნანობაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



## გიო ახვლედიანის ლონდონური სვეტეული

# ბოლო დროის ჭორები

ხმადაბლა ბევრი ამბობს, რომ ეს სეზონი უკანასკნელი იქნება სერ ალექს ფერგიუსონისთვის, რომელიც „მანჩესტერს“ 1986 წლიდან უდგას სათავეში.

ფერგის არც ვინმე აგდებს, არც ვინმე ათავისუფლებს, მაგრამ ასე კი ამბობენ და მოდი და გაიგე.

უბრალოდ, დრო მოსულაო და თვითონაც ასე ფიქრობსო.

ამ განწყობის ნამდვილობის გამორკვევა ჯერჯერობით ძნელია, მით უმეტეს, რომ „მანჩესტერი“ ბრძოლაშია ჩაბმული და მიუხედავად იმისა, რომ ლიდერს უკვე გვარიანად ჩამორჩება, ვერავინ იტყვის, რომ საჩემპიონო ბრძოლაში არ მონაწილეობს.

ბუკმეიკერთა საწყისი შეფასებით, საჩემპიონო ფავორიტი „ჩელსია“, რასაც თავად ფერგიმ საინტერესო მონაცემი უწოდა, თუმცა ლიდერი „ლივერპულია“, რომელმაც ამ კვირას „ჩელსი“ „სტემფორდ ბრიჯზე“ დაამარცხა.

„ჩელსის“, ოთხ წელიწადზე მეტი იყო, საშინაო თამაში არ წაეგო და ეს უგრძესი რეკორდი ასე დაუმთავრდა. თავის მხრივ, „ლივერპულსაც“ ასე კარგად არასდროს დაუწყია პრემიერლიგა.

მოკლედ, ფავორიტი კი „ჩელსია“, მაგრამ „ლივერპული“ ჩემპიონობას დამიზნებული გუნდია, რასაც ისე ელიან მერსისაიდში, როგორც არასდროს.

„მანჩესტერი“ კი, როგორც ამბობენ, ლიდერებთან არსებული სხვაობის ამოვსებას საშობაო თამაშებზე აპირებს, თუმცა, მანამდე ერთი სირთულე ელის — გუნდი ათი დღით მიემგზავრება იაპონიაში მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ტურნირზე, რაც მაინცდამაინც სასურველი არ უნდა იყოს.

თუმცა, რახან მიემგზავრება, ფერგიუსონი ამბობს, მაგ ტურნირის შემდეგ ან ვიფრენთ, ან ჩავვარდებით, ვითარება გამოაჩენსო.

ასეა თუ ისე, სწორედ უქმეებზე გამოჩნდა ცნობა ჟოზე მაურინიუსა და „მანჩესტერის“ რაღაც კავშირის შესახებ. ეს ჯერჯერობით მხოლოდ პატარა ჭორია, მაგრამ „ანორთოსისთან“ მატჩის შემდეგ მაურინიუმ ინტერვიუ მისცა ინგლისურ მედიას და თქვა, რომ „ჩელსიდან“ სხვა ინგლისურ კლუბში იმიტომ არ გადავიდა, რომ იმდენად შინაური იყო „ჩელსიში“, რომ უხერხული იქნებოდა სხვაგან გადასვლა. მან განმარტა, რომ ასევეა „ინტერშიც“, სადაც სამწლიანი კონტრაქტი აქვს და სხვა გუნდზე არ ფიქრობს, თუმცა, ინგლისში სიამოვნებით დაბრუნდება, ოღონდ „ინტერის“ შემდეგ, რადგან უყვარს იქაურობა და იქაური ლიგა.

მაურინიუს ეს ლაპარაკი მის ჩვეულ სტილში მიმდინარეობდა: თავის დროზე ის ასევე უარყოფდა ინგლისის ნაკრების მენეჯერობის შეთავაზებას, მაგრამ ამასწინათ განცხადა, ამაზე მხოლოდ იმიტომ ვთქვი უარი, რომ ყოველდღიური სამუშაო არ იყოო.

ჰოდა, მისი ლაპარაკებიდან ვერაფერს გაიგებ.



ჟოზე მაურინიუ

ხუანდე რამოსი კი შინ გაემგზავრა. ის „ბოლტონთან“ თამაშის წინ გაათავისუფლეს და „ტოტენჰემმა“ სასწრაფოდ იპოვნა ახალი მწვრთნელი, ვინც ძალიან უნდოდა.

ჰარი რედნაპმა სამხრეთი მიატოვა, პორტსმუტს გამოეთხოვა და მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა. ამბობენ, რომ „ტოტენჰემმა“ უზარმაზარი კომპენსაცია გადაუხადა „პორტსმუთს“, სადაც ახლა მენეჯერს ეძებენ, მანამდე კი იქაურებს დიდი „მეთოფე“ ტონი ადამსი უთავკაცებს, ვისაც გვერდით ყოფილი თანაკლუბელი და მეწყვილე მარტინ კიოუნი უდგას.

ჰარიმ კი, იღბალა ჰარიმ, ოდესღაც ჰარი ჰუდინიდ წოდებულმა, რომელიც პირდაპირ „უაით ჰართ ლეინზე“ მიიყვანეს, თავისი სადებიუტო თამაში მოიგო.

ეს იყო „ტოტენჰემის“ პირველი გამარჯვება ამ სეზონში, მედია კი წერს, რომ „ტოტენჰემს“ სწორედ ინგლისელი კაცი უნდოდაო, მეტიც, ლონდონელი, იმიტომ, რომ არცერთმა უცხოელმა გუნდს არ გაუმართლა: კრისტიან გროსიდან დაწყებული, მარტინ იოლ-რამოსით დამთავრებული.

ჰოდა, ახლა ჰყავთ...

| IX ტური |
| --- |
| დღეს |
| ტორინო — ატალანტა |
| ფიორენტინა — ინტერი |
| რომა — სამპდორია |
| კიევო — ლაციო |
| ნაპოლი — რეჯინა |
| კატანია — უდინეზე |
| მილანი — სიენა |
| ბოლონია — იუვენტუსი |
| ლეჩე — პალერმო |
| ჯენოა — კალიარი |

## იტალია

# არ მიცნობთ? გამიცნობთ!

**„პალერმო“ — „ფიორენტინას“** (1:3) შეხვედრაში სტუმართა პირველი გოლის ავტორი ალბერტო ჯილარდინო თაღლითობაში ამხილეს.

„ჯილამ“ მასპინძლებს მაჯით გაუტანა. ორშაბათს სადისციპლინო კომისიამ ეპიზოდი გამეორებაზე ნახა და ხელმრუდს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა.

პალერმოელთა მრისხანე პრეზიდენტი ძამპარინი ხუთს ითხოვდა.

„ინტერთან“ ტურის მთავარ მატჩში ჯილარდინო „ფიორენტინას“ ვერ დაეხმარება. „ჯენოასთან“ საშინაო ფრის გამო გაბრაზებულმა ჟოზე მაურინიუმ თქვა: „როგორც ჩანს, ზოგი ფეხბურთელი ჯერ კარგად ვერ მიცნობს და ორშაბათისთვის ამას მხედველობაში მივიღებ“.

იტალიური მედიის ცნობით, მაურინიუ უკმაყოფილოა ბალოტელის, კრუსის და ობინას თამაშით.

ბოლო ოთხ შეხვედრაში „ინტერმა“ „ფიორენტინას“ ოთხჯერვე სძლია.

ოთხივე საშინაო მატჩის მომგები „კატანია“ ჩემპიონატის ლიდერ „უდინეზეს“ უმასპინძლებს. 13 სექტემბრის შემდეგ ორივე გუნდი დაუმარცხებელია. „უდინეზე“ აქამდე სამჯერ ესტუმრა სიცილიელებს და სამჯერვე წააგო.

„ჩემთვის მთავარია ქულები და ცხრილში კიდევ უფრო მაღლა ასვლა. ლამაზი ფეხბურთი მოიცდის. მირჩევნია, უსახური თამაშით მოვიგო, ვიდრე სანახაობრივ ფეხბურთში დავმარცხდე და ბოლო ადგილზე ვიყო“ — თქვა კატანიელთა მწვრთნელმა ვალტერ ძენგამ.

მესამეადგილოსანი და შინ ქულადაუკარგავი „ნაპოლი“ ცხრილის ფსკერზე დალექილ „რეჯინას“ დაუხვდება. რეჯოკალაბრიელმა სეზონში პირველი მატჩი გასულ ტურში „ლეჩესთან“ მოიგეს, „ნაპოლის“ კი 9 მარტის აქეთ საკუთარ სტადიონზე არ წაუგია და ფრეც მხოლოდ ერთხელ ითამაშა. ისე, „რეჯინა“ ნეაპოლური კლუბისთვის უხერხულ მეტოქედ ითვლება, რადგან ამ გუნდების ცხრა შეხვედრიდან „ნაპოლიმ“ ორზე მეტში ვერ იმარჯვა.

„მილანის“ უძლეველი სვლა (ყველა ტურნირში) თვეზე მეტია, გრძელდება და, ალბათ, „სიენაც“ ვერ შეწყვეტს ამ სერიას, რაკი „სან სიროზე“ ხუთი სტუმრობიდან ოთხჯერ დამარცხდა და ერთხელ ქულა წაიღო.

„ლაციომ“ ჩემპიონატი კარგად დაიწყო, მაგრამ საწვავი მალე გაუთავდა და ბოლო სამ ტურში ქულაზე მეტი ვერ მოაგროვა. გაცილებით უარესადაა რომაელთა დღევანდელი მეტოქის, „კიევოს“ საქმე. ვერონელებმა პირველ ტურში შინ „რეჯინას“ რომ სძლიეს, მას შემდეგ მოგების გემო დაავიწყდათ.

„კიევომ“ „ლაციო“ ვერონაში ერთადერთხელ, სერია A-ში ახალგადმოსულმა (2000) დაამარცხა.

ზედიზედ სამი მოგება „ჯენოამ“ წინა ტურში „ინტერთან“ სტუმრად ფრით დააგვირგვინა და ალმავლობის გზაზე მყოფი გუნდი დღეს „კალიარის“ უმასპინძლებს. სარდინიელებს 22 მარტის მერე სტუმრად ფრე არ უთამაშიათ.

სეზონში ერთადერთი მატჩის (შინ „ლეჩესთან“, პირველ ტურში) მომგები „ტორინო“ დღეს „ატალანტას“ დაუხვდება. ტურინელებს ბოლო სამ მატჩში გოლი არ გაუტანიათ.

„იუვენტუსმა“ ოთხმატჩიანი მოუგებელი სერია შაბათს, ტურინულ დერბიში გამარჯვებით შეწყვიტა და ახლა ბოლონიას ეწვევა, სადაც 1998 წლიდან არ დამარცხებულა. მას შემდეგ, შვიდი სტუმრობიდან მასპინძლებს ხუთჯერ სძლია. „ბოლონიამ“ 19 აპრილის მერე ფრე არ იცის.

დაჩაჩანაკებული „რომა“ „სამპდორიას“ ეთამაშება, რომელსაც რომში 12 წელია, არ მოუგია. ლუჩანო სპალეტის გუნდმა ბოლო ოთხი მატჩი წააგო, მათ შორის ერთი — „ჩელსისთან“ ჩემპიონთა ლიგაში. კვირას, „უდინეზესთან“ მარცხის შემდეგ, შინ დაბრუნებულ რომაელ ფეხბურთელებს აეროპორტში 50-მდე გაავებული და მგინებელა ფანი დახვდა. ერთი ბიჭი ლუჩანო სპალეტის ექაჩებოდა და პოლიციამ გაბაწრა.

„ლეჩე“ „პალერმოს“ უმასპინძლებს, რომელსაც აქამდე სამივე საშინაო მატჩი ისე მოუგო, რომ გოლი არ გაუშვია...

**ვაჟა ხუციშვილი**



ალბერტო ჯილარდინო

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 1 უდინეზე | 8 | 5 | 2 | 1 | 15:6 | 9 | 17 | 5 | 4 | 1 | 0 | 10:3 | 7 | 13 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 4 |
| 2 ინტერი | 8 | 5 | 2 | 1 | 13:5 | 8 | 17 | 4 | 3 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:3 | 5 | 7 |
| 3 ნაპოლი | 8 | 5 | 2 | 1 | 11:7 | 4 | 17 | 3 | 3 | 0 | 0 | 6:3 | 3 | 9 | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 1 | 8 |
| 4 მილანი | 8 | 5 | 1 | 2 | 12:6 | 6 | 16 | 4 | 3 | 0 | 1 | 9:3 | 6 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 7 |
| 5 ფიორენტინა | 8 | 5 | 1 | 2 | 12:7 | 5 | 16 | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 5 | 10 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 0 | 6 |
| 6 კატანია | 8 | 4 | 3 | 1 | 9:5 | 4 | 15 | 4 | 4 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 12 | 4 | 0 | 3 | 1 | 4:5 | -1 | 3 |
| 7 ლაციო | 8 | 4 | 1 | 3 | 15:11 | 4 | 13 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 4 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 9:9 | 0 | 6 |
| 8 ჯენოა | 8 | 4 | 1 | 3 | 10:7 | 3 | 13 | 4 | 4 | 0 | 0 | 9:3 | 6 | 12 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:4 | -3 | 1 |
| 9 ატალანტა | 8 | 4 | 1 | 3 | 8:7 | 1 | 13 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 9 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 4 |
| 10 იუვენტუსი | 8 | 3 | 3 | 2 | 7:6 | 1 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 0 | 5 |
| 11 პალერმო | 8 | 4 | 0 | 4 | 11:13 | -2 | 12 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 2 | 9 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | -4 | 3 |
| 12 სიენა | 8 | 2 | 3 | 3 | 6:7 | -1 | 9 | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 8 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:5 | -3 | 1 |
| 13 ლეჩე | 8 | 2 | 3 | 3 | 8:10 | -2 | 9 | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 4 | 8 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | -6 | 1 |
| 14 სამპდორია | 8 | 1 | 4 | 3 | 6:11 | -5 | 7 | 4 | 1 | 3 | 0 | 4:2 | 2 | 6 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:9 | -7 | 1 |
| 15 კალიარი | 8 | 2 | 1 | 5 | 5:10 | -5 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:5 | -3 | 3 |
| 16 რომა | 8 | 2 | 1 | 5 | 9:15 | -6 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 1 | 7 | 4 | 0 | 0 | 4 | 3:10 | -7 | 0 |
| 17 ბოლონია | 8 | 2 | 0 | 6 | 6:12 | -6 | 6 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | -3 | 3 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | -3 | 3 |
| 18 კიევო | 8 | 1 | 3 | 4 | 5:11 | -6 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | -1 | 5 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:6 | -5 | 1 |
| 19 ტორინო | 8 | 1 | 2 | 5 | 7:12 | -5 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 5:7 | -2 | 3 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | -3 | 2 |
| 20 რეჯინა | 8 | 1 | 2 | 5 | 6:13 | -7 | 5 | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 1 | 5 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:9 | -8 | 0 |

## ღამურებს ოლიჩი მოუნდათ

**ესპანური** პრიმერადივიზიონის ერთ-ერთი ლიდერი „ვალენსია“ ბუნდესლიგის „ჰამბურგის“ ფორვარდ ივიცა ოლიჩით დაინტერესდა. „ღამურების“ ხელმძღვანელობა გერმანიის პირველობაზე მის გამოსვლას დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს. ხორვატ ფეხბურთელს „ჰამბურგთან“ კონტრაქტის ვადა 2009 წლის ზაფხულში ეწურება, თუმცა ვალენსიელები ოლიჩის გადმობირებას კიდევ უფრო ადრე — იანვარი აპირებენ.

## ანდერლეხტმა სპაჰიჩს დაუმიზნა

**მოსკოვის** „ლოკომოტივის“ მცველი ემირ სპაჰიჩი ბელგიური „ანდერლეხტის“ ინტერესთა სფეროში მოხდვა. 28 წლის ბოსნიელი სხვადასხვა დროს მშობლიურ „ჩელიკში“, თურქულ „ალთაიში“, ზაგრების „დინამოში“, იაროსლავლის „შინიკში“ და მოსკოვის „ტორპედოში“ გამოდიოდა. „ანდერლეხტის“ გარდა სპაჰიჩის შეძენა ფრანგულ პსჟ-საც სურს.

## ნევეშმა ბარძაყი მოირჩინა

**გერმანული** „ჰამბურგის“ ნახევარმცველმა ტიაგუ ნევეშმა ბარძაყის ტრავმა სრულად მოირჩინა და ვარჯიშს შეუდგა. ორშაბათს ბრაზილიელმა ლეგიონერმა გუნდთან ერთად საერთო წვრთნა გაიარა და უახლოეს მატჩებში მოედანზეც გამოჩნდება.

## ბრეშემ მყესი გაიჭიმა

**ჰოლანდიური** პსვ-ს ცენტრალურმა მცველმა ჟერემი ბრეშემ „როდასთან“ შაბათის შეხვედრაში მუხლქვეშა მყესი გაიჭიმა და რამდენიმე კვირას ლაზარეთში გაატარებს. ფეხბურთელს ამ დღეებში კიდევ ერთი სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდება და გაირკვევა, რამდენად სერიოზულია მისი ტრავმა.

## ალესანდრო კოსტაკურტა მანტოვას გაწვრთნის

**ალესანდრო კოსტაკურტა** სერია B-ს „მანტოვას“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. „მილანის“ ყოფილმა ვარსკვლავმა ამ თანამდებობაზე ჯუზეპე ბრუკატო შეცვალა. 42 წლის კოსტაკურტა მთავარი მწვრთნელი აქამდე არასდროს ყოფილა, ასე რომ, ამ მხრივ „მანტოვაში“ მისი დებიუტი შედგება. „როსონერის“ ყოფილმა მცველმა საფეხბურთო კარიერა 2007 წელს დაასრულა და გასულ სეზონში „მილანში“ კარლო ანჩელოტის თანაშემწედ მუშაობდა.

## მუნტეანუ ლეკეტუშის ნაცვლად

**ბუქარესტის** „სტიაუას“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს — დორინელ მუნტეანუ. 40 წლის სპეციალისტმა მარიუს ლეკეტუშის ადგილი დაიკავა, ვინც „ლიონთან“ რუმინელებისთვის ავადსახსენებელი მატჩის შემდეგ გადადგა. კონტრაქტის მიხედვით, მუნტეანუ „სტიაუას“ ორი სეზონი უთავკაცებს და თითოში 180 ათას ევროს მიიღებს.

„სტიაუას“ მწვრთნელობას იმიტომ დავთანხმდი, რომ ამ გუნდს დიდი პოტენციალი აქვს, ბუქარესტულმა კლუბმა სწორედ მე ამირჩია, რაც დიდი პატივია“ — აღნიშნა რუმინეთის ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა.

## შნაიდერმა გააახანგრძლივა

**ლევერკუზენის** „ბაიერის“ ნახევარმცველმა ბერნდ შნაიდერმა „ფარმაცევტებთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე გააახანგრძლივა. 34 წლის ფეხბურთელი კისერზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ, რეაბილიტაციას გადის.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ისეთ გამოცდილ მოთამაშეს, როგორიც შნაიდერია, დავანახოთ, რომ მისთვის ასეთ რთულ პერიოდში მის გვერდით ვართ. ეჭვიც არ გვეპარება, რომ ბერნდი ჩვენს კლუბს კიდევ დაეხმარება“ — განაცხადა „ბაიერის“ დამრიგებელმა ბრუნო ლაბადიამ.

## ჟონატას ალკმაარელი

**ალკმაარის** „აზ 67“-მა ბრაზილიელი თავდამსხმელი ჟონატასი შეიძინა. ფორვარდი ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების წევრია და ჰოლანდიურ კლუბში მინიმუმ 2012 წლამდე დარჩება.

## ესპანეთის საუკეთესო სამხრეთამერიკელი

**მადრიდის** „ატლეტიკოს“ არგენტინელი თავდამსხმელი სერხიო აგუერო პრიმერადივიზიონის 2008 წლის საუკეთესო სამხრეთამერიკელ მოთამაშედ დაასახელეს.

„ამ ჯილდოსთვის ყველას მადლობას ვუხდი. ამ წარმატების მიღწევაში, უპირველესად, თანაგუნდელები დამეხმარნენ და ამ მხრივ მათი როლი ძალიან დიდია. ვიმედოვნებ, რომ ეს სეზონი ჩემთვის უფრო წარმატებული გამოდგება“ — ბრძანა „როხიბლანკოს“ ფორვარდმა.

**არჩილ ძობახიძე**




## ვის გაართყამს ბექემი ქვას?

**თავის** შესაქცევად ასეთ ინფორმაციას გთავაზობთ: 33 წლის ინგლისელმა ვარსკვლავმა დევიდ ბექემმა, რომელიც, მოგეხსენებათ, „ლოს ანჯელეს გელექსიდან“ ოთხი თვით „მილანში“ გადადის, ევროპული მოდის ახალ დედაქალაქში ბინა იქირავა. მერე რაო, იკითხავთ თქვენ. რა და ის, რომ ინგლისური გაზეთების თქმით, ბინა, მართალია, მდიდრულ რაიონში, ვია ამედეო დაოსტაზეა, მაგრამ აქედან ვაილე აბრუცამდე ფეხით სულ ხუთი წუთის სავალია, ვაილე აბრუცი კი ამსტერდამის ცნობილი „რედ ლაით დისტრიქტის“ ანუ „წითელი ფანრების უბნის“ ანალოგია. სხვა სიტყვებით, ეს გახლავთ მეძავების, ტრანსვესტიტების, სუტენიორ-ოღრაშებისა და ნარკომანების თავშეყრის ალაგი.

ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი მილანში იანვრიდან უნდა ჩავიდეს. მოგეხსენებათ, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „რეალის“ ყოფილ ვარსკვლავს არ უნდა, მორიგი ამერიკული სეზონის დაწყებამდე დრო უქმად გაატაროს და ფორმა დაკარგოს — ბექემი ფაბიო კაპელოსთვის თავის მოწონებასა და ეროვნული გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაბრუნებას ეშურება. და ვინ ურჩია საცხოვრებლად ის ადგილი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ? არც მეტი, არც ნაკლები, მილანელთა კაპიტანმა პაოლო მალდინიმ, რომელიც თავადვე იქ ცხოვრობს — აკი გითხარით, რომ უბანი, სადაც უშუალოდ ბექემის მიერ შერჩეული რამდენიმე მილიონად ღირებული სახლი დგას, ფეშენებელური გახლავთ — თუმცა სამეზობლო მართლაც საჩოთიროა.

ინგლისური ტაბლოიდები აცხადებენ, რომ მილანში ცხოვრების ოთხი თვის განმავლობაში, დევიდს პირმშვენიერი მეუღლე ვიქტორია თან არ ეყოლება, თუმცა ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ უცოლოდ დარჩენილი ვაილე აბრუციდან „ნაგვის აკრეფას“ და შინ მიყვანას დაიწყებს.

ჟურნალისტებმა მყისვე გამოძებნეს მილანში მცხოვრები მავანი ბრიტანელი მაკლ დეი, რომელმაც სიტუაცია ასე დაუხატა:

„ბექემის არჩევანი ცოტა გასაკვირია, რადგან იმ სახლიდან, რომელიც მან იქირავა, ტრანსვესტიტების თავშეყრის ადგილამდე ქვას მიაწვდენ კაცი. კიდევ, ამ უბანში ნარკოტიკების სიჭარბეა. ადგილობრივები დაუსრულებლად ჩივიან, რათა იქაურობა ამ საზოგადოებისგან რამენაირად გაწმინდონ“.

**პაპუნა ძედია**

## ვისი ხარ, ბიჭო, მალხაზი



**მოგეხსენებათ,** კრიშტიანუ რონალდუ გასული ზაფხულის თავგადასავლების შემდეგ, მაინც „მანჩესტერ იუნაიტედში“ დარჩა, მაგრამ იმის გარანტია, რომ მომავალშიც ამ გუნდის ერთგული იქნება, არავისთვის მიუცია. დღეს ასეა: პორტუგალიელი ფიქრობს, რომ, შესაძლოა, მომავალ სეზონშიც „იუნაიტედში“ დარჩეს, მეტი კი არაფერი. ეს თემა კი წინა პლანზე იმიტომ წამოვიდა, რომ FIFpro-ს მიერ მოწყობილ საღამოზე (ეს გახლავთ პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია), სადაც რონალდუს გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო გადასცეს, მას ჯიქურ ჰკითხეს, ბოლოს და ბოლოს, გაგვაგებინე, „ვისი ხარო“. როგორც ინგლისური ტაბლოიდები იტყობინებიან, პასუხის გაცემის წინ რონალდუ შეყოვნდა, შემდეგ კი ასე თქვა:

„მე ჩემპიონთა ლიგაში კიდევ ერთ გამარჯვებაზე ვოცნებობ. ამასთან, მითქვამს და ვიმეორებ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი ვარ და დღეს ისე ვფიქრობ, რომ მომავალ სეზონშიც ამ გუნდში ვიქნები. ჩემი გონება მხოლოდ ამ გუნდის საქმეებით არის დაკავებული. მთელი ყურადღება იქითკენ მაქვს მიმართული, რომ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ერთად ერთხელაც მოვიგო როგორც პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული, ასევე ჩემპიონთა ლიგა“.

შეგახსენებთ, რომ რონალდუ გასულ ზაფხულ ყველა ღონეს ხმარობდა, რათა ბავშვობის საყვარელი გუნდის, მადრიდის „რეალის“ მოთამაშე გამხდარიყო, მაგრამ „იუნაიტედის“ გამოცდილმა, ჯიუტმა და ცბიერმა მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა შეუძლებელი შეძლო და პორტუგალიელი ვარსკვლავი გუნდში დატოვა.

„ზაფხული კარგა ხნის გასულია. ახლა ჩემი ოცნება აქ, მანჩესტერშია — ამბობს კრიშტიანუ — მთავარი პერსონა ალექს ფერგიუსონია. მას უდიდეს პატივს ვცემ, რადგან სწორედ მან გადამიყვანა „მანჩესტერში“ და ჩემს შემდგომ წარმატებებში უდიდესი როლი მიუძღვის. ლისაბონში რომ ველაპარაკე, შევთანხმდით, რომ ყველასთვის უკეთესი იქნებოდა, „იუნაიტედში“ თუ დავრჩებოდი. ის ჩემს არგუმენტებს უსმენდა, მე მისას მოვუსმინე. ახლა ვრწმუნდები, რომ მართლაც სწორი გადაწყვეტილება მივიღე. ერთი სიტყვით, გულითა და სულით მანჩესტერელი გახლავართ“.

**პაპუნა ძედია**
















# ლამანშდალეულები

**ბოლო პერიოდის ბრიტანულ საფეხბურთო თემათაგან ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ვარსკვლავთვარსკვლავ დევიდ ბექჰემის „ლოს ანჯელეს გელექსიდან“ „მილანში“ გადასვლა გახლავთ — უცხოეთიდან უცხოეთში. ბრიტანელი ფეხბურთელები და უცხოეთი — საინტერესო თემაა. დაგვეთანხმებით, კუნძულებს გარეთ მოთამაშე ინგლისელი და თუნდაც სქოთი ან უელსელ-ჩრდილოირლანდიელი ფეხბურთელების რაოდენობა თვალშისაცემი არასდროს ყოფილა. კი, ყოველთვის იყო ვილაც, ვინც არხსგადალმა აგორებდა ბურთს, მაგრამ...**

**თუმცა, რაც იყო, გაზეთ „სანის“ რუბრიკის „ათი ყველაზეს“ შემდგენელთათვის სრულიად საკმარისი გამოდგა, რათა ჩვენთვის თავიანთი ათეული შემოეთავაზებინათ. მაშ ასე, ვინ იყო საუკეთესო იმ ბრიტთა შორის, ბურთი ლა მანშს გაღმა რომ აგორა? ვინ და... თუმცა, დახეთ „სანის“ ჟურნალისტებს: კონკურენცია იმაზე გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ გვეგონაო და ათეულში არც გრემ სუნესი შეიყვანეს, არც გლენ ჰოდლი, არც იან რაში, არც მაიკლ ოუენი, არც მარკ ჰიუზი და ასე განსაჯეთ, არც პოლ გესქოინი, ლეგენდარული გაზა.**

## 10. პოლ ინსი

„მანჩესტერ იუნაიტედში“ გატარებული ექვსი წარმატებული სეზონის შემდეგ, 1995 წელს, პოლ ინსი მილანის „ინტერში“ გადავიდა. თავიდან ინგლისის ნაკრების ნახევარმცველს ახალ გარემოსთან შეწყობა გაუჭირდა, მაგრამ თანდათანობით ვითარებას ალღო აუღო და მილანელი ფანების საყვარელი ფეხბურთელიც გახდა. 1997 წელს გუნდის უეფას თასის ფინალში გასვლა მნიშვნელოვანწილად ინსის ძლიერმა თამაშმაც განაპირობა, შემდეგ კი ინგლისში, კერძოდ, „ლივერპულში“ დაბრუნდა.

## 9. დევიდ პლატი

1990 წელს დევიდ პლატმა ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოიჩინა თავი, ამ ამბიდან ერთი წლის შემდეგ კი იტალიურ „ბარიში“ გადავიდა. მისი ახალი გუნდი, მართალია, იმ სეზონში სერია A-დან გავარდა, მაგრამ პლატის გოლები საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ის „იუვენტუსს“ ეყიდა. ტურინულ გუნდში გატარებულ ერთ სეზონში პლატმა უეფას თასი მოიგო, შემდეგ კი „სამპდორიაში“ გადავიდა და გენუელთა შემადგენლობაში იტალიის თასიც მოიპოვა.

## 8. გარი ლინეკერი

1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე „ოქროს ბუცის“ მოგების შემდეგ ლინეკერი „ბარსელონას“ მაშინდელმა თავკაცმა, ინგლისელმა ტერი ვენეიბლზმა თავისთან წაიყვანა. კატალონიურ კლუბში ლინეკერის დებიუტი ფანტასტიკური გამოდგა, ორი გოლი გაიტანა, შემდეგ კი არც აცია, არც აცხელა და, „რეალს“ სამი გოლი შეუგდო. „ბარსასთან“ ერთად გარი ლინეკერი თასების მფლობელთა თასისა და ესპანეთის სამეფო თასის მფლობელი გახდა.

## 7. დევიდ ბექემი

ბექემმა მადრიდის „რეალი“ გმირის სახელით დატოვა. გეხსომებათ, „სანტიაგო ბერნაბეუდან“ ტიტულის გარეშე არ წავალო და, სიტყვა „ბოლო წამს“ აასრულა.

## 6. პოლ ლამბერტი

კაცმა რომ თქვას, პოლ ლამბერტი ნამდვილად არ არის ის კაცი, ვისი სახელიც ვარსკვლავებზე საუბრისას პირველი გაგახსენდება, მაგრამ, მეორე მხრივ, ლამბერტი ის ბრიტანელია, ვინც ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა და პირველია, ვინც ევროჯილდო არაბრიტანულ კლუბთან ერთად მოიპოვა. საუბარია შოტლანდიელი ფეხბურთელის მიერ 1997 წელს, დორტმუნდის „ბორუსიას“ შემადგენლობაში გამარჯვებაზე.

## 5. ოუენ ჰარგრივზი

ჰარგრივზი მარტო იმითია განსაკუთრებული, რომ კარიერა ბრიტანეთს გარეთ დაიწყო. 1997 წელს ის 16 წლისა გახლდათ, როდესაც მიუნხენის „ბაიერნთან“ გააფორმა კონტრაქტი. შეგახსენებთ, რომ ბავშვობა ინგლისის ნაკრების ამ ნახევარმცველს კანადაში აქვს გატარებული. 2001 წელს ჰარგრივზმა „ბაიერნთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგო, ექვსი წლის შემდეგ კი „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავიდა.

## 4. კრის უოდლი

1989 წელს „მარსელში“ გადასულმა უოდლმა ზედიზედ სამჯერ მოიპოვა საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული. ინგლისელი ვარსკვლავი საფრანგეთში ისე ბრწყინავდა, რომ 1991 წელს კინაღამ „ფრანს ფუტბოლის“ ოქროს ბურთს გამოჰკრა ხელი. იმ წელიწადს „მარსელმა“ ჩემპიონთა თასის ფინალში ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან“ წააგო.

## 3. სტივ მაკმანამანი

შერმადინი გუნდში ჩაირიცხა, ახლა უკვე მასზეა დამოკიდებული, როგორ მოაწონებს თავს გუნდის ხელმძღვანელობას და როგორ ათამაშებენ. მე იმედი მაქვს, რომ ისე არავინ გაუფორმებდა კონტრაქტს. მისი მთავარი კონკურენტი, 22 წლის ჩერნოგორიელი ნიკოლა პეკოვიჩი იქნება. შერმადინმა სამი დღე ივარჯიშა „პანათინაიკოსთან“ ერთად და, როგორც ჩანს, ყველას მოაწონა თავი. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც გიოს ამ ხნის მანძილზე ეხმარებოდა... კონტრაქტის პირობებზე ჯერ ვერაფერს გეტყვით ეს კონფიდენციალურია“.

გიორგი შერმადინი სოფელ ნატახტარიდან არის და საქართველოში მხოლოდ ერთ კლუბში, თბილისის „მაკაბიში“ თამაშობდა.

**გიორგი არაბული**

# წივწივაძე ახალ მწვრთნელს ახლად უნდა დაენახოს



ქართველმა კალათბურთელმა 19 წლის ბექა წივწივაძემ, რამდენიმე თვის წინ გააფორმა კონტრაქტი პოლონეთის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდთან, სლუპსკის „ენერჯი-ჩერნისთან“, ბექა ჯერაც არ წასული პოლონეთში და საქართველოს სუპერლიგაში სსსსუ ღირსებას იცავს.

ამასობაში ისე მოხდა, რომ პოლონეთის ჩემპიონატის პირველ ექვს ტურში ორი მარცხი არ აპატიეს „ჩერნის“ მთავარ მწვრთნელს, უკრაინელ ანდრეი პოდკოვიროვს და თანამდებობიდან მოხსნეს. მის მაგივრად გუნდის გაძღოლა სლოვენიელ კასპერ ოკორნის ჩააბარეს.

ახალმა მწვრთნელმა კი მოითხოვა, რომ გუნდის ყველა მოთამაშე ჩასულიყო პოლონეთში, რათა საკუთარი თვალით ენახა ისინი საქმეში.

ჩვენ გადავწყვიტეთ, ბექას მამას, *კახა წივწივაძეს* დავკავშირებოდით და უშუალოდ მისგან გაგვეგო ამ საქმის დეტალები.

— ბექას უკვე ვუყიდეთ პოლონეთის ბილეთები, რეისი 7 ნოემბერსაა დანიშნული, მაგრამ ვცდილობთ, რომ ის ჯერ არ წავიდეს. ამაზე ბექას მენეჯერი უკვე მუშაობს. „ენერჯი-ჩერნის“ ახალ მწვრთნელთან კასპერ ოკორნისთან ათანხმებს ამ საკითხებს.

— რატომ არ გინდათ, რომ ბექა ახლა წავიდეს პოლონეთში?

— იქაურ ჩემპიონატში პირველი წრის დამთავრებამდე ოთხი ტურია დარჩენილი, ამ დროში ახალი მწვრთნელი არ შეცვლის შემადგენლობას და ბექასაც თითქმის მთელი თვე არ მოუწევს თამაში. ამიტომ შევთავაზეთ, რომ სათამაშო პრაქტიკისთვის ბექა ითამაშებს ჯერ სსსსუ-ში, როდესაც პოლონელები მეორე წრისთვის დაიწყებენ მზადებას, ისიც მაშინ ჩავა და გუნდს შეუერთდება.

თუ მთავარი მწვრთნელი კასპერ ოკორნი ამაზე არ დაგვეთანხმება, მაშინ ბექა 7 ნოემბერს გაფრინდება პოლონეთში. ბილეთები უკვე აღებულია.

**გიორგი არაბული**

ხელბურთი

# დღეს გასარკვევი გაირკვევა
## ხელბურთელები გუნდებს დაითვლიან


ვახტანგ ბერიაშვილი

დღეს საქართველოს ხელბურთის ფედერაციაში ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების მსურველებს განაცხადის შეტანის ბოლო დღე აქვთ. ქართული ხელბურთი დალხენილ მდგომარეობაში არც აქამდე იყო, თუმც ომმა და ფინანსურმა კრიზისმა სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა.

ამ დრომდე არ არის გარკვეული მოქმედი ჩემპიონის სტუს ამბავი. სტუდენტები ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისგან ზაფხულის აქეთ ელიან პასუხს, გაგრძელდება თუ არა გუნდის დაფინანსება. ჯერ გარკვეული არ არისო, ვთქვით და დავაკონკრეტოთ: გუშინ ხელბურთის ფედერაციაში რომ დავრეკეთ, თუ რამდენ გუნდს ჰქონდა განაცხადი გაკეთებული, სამსაჯო კომიტეტის უფროსმა ვახტანგ ბერიაშვილმა ეს გვითხრა: „თბილისმა“ შემოიტანა განაცხადი, მაგრამ გარკვეული შეცდომები ჰქონდათ და უკან გავატანეთ. თუმცა ეს არაფერია, ტექნიკური საკითხებია და ხვალამდე მოაგვარებენ. რაც შეეხება სტუს, როგორც ვიცი, ისინიც აპირებენ თამაშს. საბოლოო პასუხი ხვალ ექნებათ და ვნახოთ. დეტალებია მოსაგვარებელი „მამულისა“ და „ქუთაისის“ გუნდებთანაც...

ამის მერე სტუს მწვრთნელს ირაკლი კეკელიძეს დავურეკეთ: ჯერ არაფერი არ ვიცით. ვესაუბრეთ ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელებს და ვუთხარით, რომ ამ სეზონში ჩემპიონობა გაგვიჭირდებოდა. ვნახოთ რას გადაწყვეტენ...

აქვე ვთქვათ, რომ ხელბურთის ფედერაციამ, ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობის გაზრდის მიზნით ჭაბუკთა ჩემპიონატის პირველი წრის ორი საუკეთესო გუნდის უმაღლესში დამატება გადაწყვიტა.

მერე ისე მოხდა, რომ საკუთარი სურვილით რამდენიმე გუნდი გაერთიანდა და ერთად აპირებს თამაშს, უფრო ანგარიშგასაწევ ძალას რომ წარმოადგენდნენ.

აღმოსავლეთის ზონიდან „გორი“, „რუსთავი“ და „ყვარელი“ შეამხანაგდებიან. დასავლეთის გუნდებიდან „სამტრედია“ და „ფოთი“. ჯერჯერობით მათი ამბავიც დასაზუსტებელია, თუმც ფედერაციას დიდი იმედი აქვს, რომ ახალბედა გუნდები უმაღლესში ითამაშებენ.

მოკლედ, დღეს ბევრი რამ უნდა გაირკვეს და ჩვენც დაველოდოთ. ჩემპიონატი კი 3 ნოემბერს იწყება...

**ლექსო მაისურაძე**

ჭიდაობა

# ქართული ჭიდაობის ახალი მოდა: კულაგლდანურად თუ ძველებურად



ხვალ ვერის პარკის საკალათბურთო დარბაზში ჩატარდება საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონატი ფალავნობაში.

საქართველოს უპირველესი ფალავნის ტიტულის მოსაპოვებლად 32 მოჭიდავე იბრძოლებს. ოღონდ მოჭიდავეთა წონა 80 კილოგრამს ქვემოთ არ უნდა იყოს. ტურნირის ჩემპიონ-პრიზიორები ფულად ჯილდოებს მიიღებენ. პირველ ადგილზე გასული 3000 ლარს ირგუნებს, მეორეადგილოსანი 2000 ლარით გამდიდრდება, ხოლო მესამე ადგილის მფლობელს 1000 ლარი გადაეცემა.

ფალავნობისთვის არის ერთი სიახლე, რომლის გარშემოც გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე აზრთა სხვადასხვაობა და კამათი ატყდა.

საქმე ის არის, რომ ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით შეიკერა ახალი საჭიდაო ფორმა. ამ „ძველი-ახალი“ ფორმის პრეზენტაცია ფალავნობაზე გაიმართება, მაგრამ თვითონ ტურნირი ძველი ფორმებით და წესებით ჩატარდება. აღდგენილ ფორმას მოწინააღმდეგეები მრავლად გამოუჩნდნენ. ისინი ამტკიცებენ, ჭიდაობისთვის მოუხერხებელია და ის ფორმა დავტოვოთ, რომელზეც მრავალი თაობა გაიზარდაო.

ინიციატივის ავტორებს ფალავნების მასრებიანი ჩოხებით შემოსვლა სწადიათ, რაც ლეგენდარულ კულა გლდანელს ეცვა. ახლანდელებსაც ის უნდა ჩავაცვათ, ამით ქართულ ჭიდაობას ძველი ეშხი დაუბრუნდება და ინტერესიც ერთიორად გაიზრდებაო — თქვეს ინიციატორებმა.

დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურმა კი პროფესიონალებსაც და მოყვარულებსაც ფალავნობაში მონაწილეობისკენ მოუწოდა...

დავით ნამგალაური: იყო საშიშროება, რომ წელს ფალავნობა არ ჩატარებულიყო, მაგრამ პრიორიტეტულმა ფედერაციებმა პატარ-პატარა ღონისძიებებზე უარი თქვეს, რითაც თანხები დავზოგეთ და მე-60 ფალავნობას გავმართავთ. რეკლამის გაკეთება ვერ მოვასწარით. ამიტომ მასმედიის საშუალებით ყველა მსურველს, იქნება მოყვარული თუ პროფესიონალი, ვთხოვთ, რომ საკუთარი ძალები გამოცადონ.

**ზურაბ მიგრიაული**

სამბო

# ქართველებმა მსოფლიო სტუდენტებზე გაცვალეს

13-15 ნოემბერს, სანკტ პეტერბურგში გასამართი სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი უქართველებოდ ჩაივლის. ეს ამბავი გუშინ ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ განაცხადა:

„ოთხმოცდაათი პროცენტით გადაწყდა, რომ სანკტ პეტერბურგში გასამართ სამბოს მსოფლიოს ჩემპიონატზე არ გაემგზავრება საქართველოს ნაკრები. არადა, ჩემს მოჭიდავეებს უნდათ ტურნირზე გამოსვლა და ვფიქრობ, მართლებიც არიან. პოლიტიკა სპორტში არ უნდა ერეოდეს. ეს ყველაფერი იმის ბრალიცაა, რომ ფედერაციების სათავეში პოლიტიკოსები არიან. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარეს დავით ნამგალაურს. იგი შეგვპირდა, რომ ლიტვაში 5-8 დეკემბერს ჩასატარებელ სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებაში დაგვეხმარება და იქ ნაჩვენები შედეგები იგივე დატვირთვას მიიღებს“ — განაცხადა პრესკონფერენციაზე საქართველოს სამბისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ.

აქვე გეტყვით, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი სამბოში სანკტ პეტერბურგში 13-15 ნოემბერს ჩატარდება.

**ზურაბ მიგრიაული**

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

# ფერარი სტანდარტს ვერ შეიფერებს

## მოსლის იდეა პირველ ფორმულას დაღუპავსო



ფორმულა 1 შეიძლება „ფერარის" ბოლიდების გარეშე დარჩეს

**ავტორბოლის** საერთაშორისო ფედერაციის (FIA) სკანდალურად ცნობილ პრეზიდენტ მაქს მოსლის ახალი იდეა აქვს — 2010 წლისთვის ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე ყველა გუნდს ერთი, სტანდარტული ძრავა ჰქონდეს. მოსლი ამ იდეის გატანას კარგა ხანია ცდილობს და ამ ცოტა ხნის წინათ ფედერაციამ ტენდერიც კი გამოაცხადა პირველი ფორმულისთვის ძრავების მომწოდებლის გამოსავლენად. როგორც გაირკვა, რამდენიმე ავტოკომპანიამ, უკვე გამოთქვა ტენდერში მონაწილეობის სურვილი, მაგრამ დაუზუსტებელი ინფორმაციით, მათ შორის დღევანდელ ფორმულა 1-ში მონაწილე არც ერთი ავტომწარმოებელი არ არის.

„იმ შემთხვევაშიც კი, თუ გუნდები მოცემული ნახაზების მიხედვით საკუთარი ძრავის შექმნას გადაწყვეტენ, ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით ისინი ერთ პროცენტზე მეტით არ იქნებიან ერთმანეთისგან განსხვავებულები. თანაც, ეს განსხვავება მოცემული ძრავის მოქმედების მთელი ციკლის მანძილზე უნდა იქნას შენარჩუნებული და არა მგონია, ამის გამო გუნდებმა ბევრი ფული დახარჯონ" — განაცხადა მოსლიმ.

ფია-ს პრეზიდენტის ახალი იდეა პირველი ფორმულის სამყაროს მიერ ერთგვაროვნად არ იქნა მიღებული. მაგალითად, „სამეფო რბოლების" ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი გუნდის, „ფერარის" მწარმოებელი კომპანიის დირექტორთა საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ თუ მოსლის იდეა გაიმარჯვებს, „სკუდერია" ფორმულა 1-ს დატოვებს.

„ფერარის" დირექტორთა საბჭომ ლუკა დი მონტეძემოლოს თავმჯდომარეობით საგანგებო სხდომა ჩაატარა და განიხილა რეგლამენტში შესაძლო ცვლილებების საკითხი. „ფერარის" დირექტორთა საბჭო გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე მხარს უჭერს არსებული დანახარჯების შემცირებას, მაგრამ ამავე დროს შეშფოთებას გამოთქვამს ძრავების სტანდარტიზაციასთან დაკავშირებით, რადგანაც საერთო სტანდარტი არ შეესაბამება ფორმულა 1-ის ჭეშმარიტ სახეს, რომლის ერთგულიც არის „ფერარი" 1950 წლიდან. ეს არის ის სახე და სული, რომელიც დაფუძნებულია კონკურენციასა და ტექნიკურ განვითარებაზე. დირექტორთა საბჭოზე გამოითქვა აზრი, რომ თუ ფორმულა 1-ის ეს უმთავრესი ელემენტები, ანუ კონკურენცია და ტექნიკური პროგრესი შემცირდება, „ფერარი" იძულებული გახდა გადახედოს მსოფლიოს ჩემპიონატში თავისი მონაწილეობის საკითხს" — ნათქვამია „ფერარის" დირექტორთა საბჭოს განცხადებაში.

„სკუდერიას" ხელმძღვანელებს მხარს უჭერს „ტოიოტას" თავკაცი ჯონ ჰოუეტიც, ვისი აზრითაც, ძრავების სტანდარტიზაციის იდეა ფორმულა 1-დან ავტომწარმოებელთა წასვლას გამოიწვევს.

„ჩვენ „სამეფო რბოლებში" დარჩენას ვაპირებთ, ყოველ შემთხვევაში 2012 წლამდე და თანაც ამბიციურები ვართ და გამარჯვებები გვინდა, მაგრამ „ტოიოტა" ძრავების სტანდარტიზაციის წინააღმდეგია. თუ ეს იდეა გაიმარჯვებს, ფორმულა 1-ში გუნდის მომავლის შესახებ „ტოიოტას" ხელმძღვანელთა საბჭო იმსჯელებს, მაგრამ იაპონიაში სურთ, რომ პირველმა ფორმულამ დღეს არსებული სახე შეინარჩუნოს — განაცხადა ჰოიეტმა და დაამატა — თუ გაეცნობით FIA-ს საიტზე განთავსებულ დოკუმენტებს, ნახავთ, რომ ახალი იდეის ხორცშესხმის შემთხვევაში ავტომწარმოებლებს პრაქტიკულად აღარ ექნებათ განვითარების შესაძლებლობა და ეს კი ფორმულა 1-დან მათ წასვლას გამოიწვევს. ახლა ყველაფერი FIA-სა და ავტოსპორტის მსოფლიო საბჭოზე დამოკიდებული. იმედი მაქვს, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს".

**ქახა ლომაძე**



# ანანდმა სარკეში ჩაიხედა და წააგო

„მე-9 პარტიაში, პირველად მთელი ამ მატჩის მანძილზე, მე უარესი პოზიცია მქონდა, შეიძლებოდა წამეგო კიდეც. შევეცადე დაცვა ისე ამეწყო, რომ მეტოქეს რაც შეიძლება მეტი ვარიანტი ჰქონოდა დასათვლელი. შემდეგ, როდესაც ცაიტნოტი მოახლოვდა, ჩვენ ორივენი არცთუ საუკეთესო სვლებს ვაკეთებდით და ენდშპილში პოზიცია, უკვე საყაიმო იყო. კმაყოფილი ვარ, რომ პარტია გადავარჩინე. დარწმუნებული ვარ, მეათე პარტია ჩემთვის კიდევ უფრო რთული იქნება" — განაცხადა ინდოელმა დიდოსტატმა ვიშვანათან ანანდმა რუს ვლადიმერ კრამნიკთან ბონში მიმდინარე საჩემპიონო მატჩის მე-9 პარტიის დასრულების შემდეგ, როდესაც ანგარიში 6:3 გახდა, ანუ ანანდს ერთი, უფრო სწორად კი ნახევარი ნაბიჯი დარჩა ტიტულამდე.




თითქოს სარკეში ჩაიხედაო, ვიშის ისე გამოუვიდა — მეათე პარტია მისთვის მართლაც ურთულესი გამოდგა ამ მატჩში. დიდოსტატებმა ნიმცოვიჩის დაცვის რომანიშინის ვარიანტი გაითამაშეს და წინა პარტიებისგან განსხვავებით, ამჯერად სიახლე პირველმა კრამნიკმა შესთავაზა მეტოქეს. ამ სიახლემ ანანდი გააკვირვა, მან რამდენიმე შეცდომა დაუშვა და 29-ე სვლაზე შავებით მოთამაშე ინდოელმა კაპიტულაცია გამოაცხადა.

ამრიგად, კრამნიკმა მატჩში პირველი პარტია მოიგო და ჩამორჩენა ოდნავ შეამცირა — 4:6, მაგრამ რუსის მდგომარეობა კვლავაც, ფაქტობრივად, უიმედოა, რადგანაც ანანდს დარჩენილ ორ პარტიაში ნახევარი ქულაც ჰყოფნის საბოლოო გამარჯვებისთვის და ძნელი წარმოსადგენია, ასეთი დონის მოჭადრაკემ ზედიზედ სამი პარტია წააგოს.

მე-11 პარტია დღეს გაიმართება. თეთრი ფიგურებით ანანდი ითამაშებს და სავარაუდოდ, ყველაფერს წერტილი, სწორედ დღეს დაესმება.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# საფინი წასვლაზე დაფიქრდა

**კაცები. მასტერსი**
**პარიზი. საფრანგეთი**
**ხალიჩა (დარბაზი)**
**საპრიზო 2 270 000 ევრო**

**პირველი წრე**

**ხუან მონაკო** (არგენტინა) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:0 7:6; **ტომაშ ბერდიხი** (ჩეხეთი) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:4 7:5; **სემ ქუერეი** (აშშ) — მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) 7:5 6:7 3:2 (უარი); **ტომი რობრედო** (ესპანეთი) — ჟერემი შარდი (საფრანგეთი) 7:6 7:6; **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:4 3:6 6:1; **ნიკლას კიფერი** (გერმანია) — ივო კარლოვიჩი (ხორვატია) 6:4 7:5; **ფელიჩიანო ლოპესი** (ესპანეთი) — იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 6:3 6:4; **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) 7:6 6:3; **დმიტრი ტურსუნოვი** (რუსეთი) — ადრიან მანარინო (საფრანგეთი) 6:3 6:2; **სიმონე ბოლელი** (იტალია) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 7:5 6:4; **მარინ ჩილიჩი** (ხორვატია) — ანდრეა სეპი (იტალია) 7:6 6:2

პარიზში სეზონის ბოლოსწინა ტურნირი დაიწყო და მსოფლიოს საჩოგბურთო ელიტამაც იქ მოიყარა თავი. საერთოდ ბოლო წლებში ამ ტურნირმა დამატებითი დატვირთვაც მიიღო, რადგან ბერსის უცნობილეს დარბაზში ნამდვილი დრამები თამაშდება — როგორც წესი, წლის შემაჯამებელ ტურნირზე დარჩენილი ადგილებისთვის ბოლო და ყველაზე უკომპრომისო ბრძოლები სწორედ აქ იმართება ხოლმე. გამონაკლისი არც წლეულსაა, ვინაიდან შანხაიში წამსვლელი სამი მეჩოგნის ვინაობა კიდევ გასარკვევია, ამაზე კი პრეტენზიას ათი კაცი აცხადებს.

ამ მხრივ საყურადღებო ჯერ არაფერი მომხდარა — კარგად მოგეხსენებათ, რომ პირველ წრეს განთესილები ტოვებენ და კორტებს რანგით დაბლა მდგომთ უთმობენ. თუმც ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მოსაყოლი არაფერი გვაქვს და საინტერესო ჯერ არაფერი მომხდარა.

დღის მთავარი ამბავი მარატ საფინის წაგება იყო. ბევრი იტყვის, აბა, საოცარი რა არისო — აყლაყუდა რუსი ხომ აგერ უკვე სამი წელია ძალიან უხეიროდ ჩოგნაობს და აქა-იქ გამონათებას თუ არ ჩავთვლით, ლამის ყოველთვის პირველივე წრეში აგებს ხოლმე. ჰოდა, თითქოსდა ახლა გამორჩეული რა უნდა ყოფილიყო?

რა და მარატმა განაცხადა, შანსია, ჩოგბურთიდან წავიდეო. საფინი კარგა ხანს გაურბოდა ამაზე საუბარს და უხეირო თამაშის მიუხედავად მაინც ამბობდა, კორტის მიტოვების სურვილი არ მაქვსო, მაგრამ როცა თავის ერთ-ერთ უსაყვარლეს ტურნირზეც (სამგზის ჩემპიონია) არაფერი გამოუვიდა, თან ამ საფარის გვარიანად მოძულე ხუან მონაკოსთან, ეტყობა, მართლა დაფიქრდა მომავალზე:

„ჯერ არაფერი გადამიწყვეტია, მაგრამ ასე გაგრძელებაც აღარ შეიძლება. ორიოდ კვირა ვიფიქრებ, ყველაფერს ავწონ-დავწონი და მერე გადავწყვეტ — არავისთვის არაფერი მაქვს დასამტკიცებელი და არც რაიმე ზეწოლას ვგრძნობ. თუ კორტზე გასვლის სურვილი დამრჩება, აღარ წავალ" — ვერ იყო ხასიათზე საფინი.

სხვა მატჩებიდან კი შარშანდელი სეზონის მთავარ აღმოჩენად ქცეული მარკოს ბაღდატისის წაგება გამოვყოთ. წლეულს ეს ბიჭი სულ მთლად დაიკარგა, რაშიც მთავარი დანაშაული ტრავმებს მიუძღვით — კუნთულელს ხან რა წამოსტკივდება და ხან რა. აგერ ახლაც თითქოს თავი დააღწია ლაზარეთს და სემ ქუერეის თანაბარი ომიც გაუმართა, მაგრამ მესამე და გადამწყვეტი სეტის შუაში წელი იტკინა და თამაშს თავი მიანება.

საფინისგან განსხვავებით, წარმატებით დაიწყო ტურნირის კიდევ ერთმა ექს-ჩემპიონმა ტომაშ ბერდიხმა. ჩეხმა აქ სამი წლის წინ იზეირა, მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ახლა განთესილებშიც ვერ მოხვდა. სწორედ ამიტომ მოუწია მას პირველი წრიდან დაწყება და ამ ამოცანას, რომელსაც სახელად რობი ჯინეპრი ერქვა, საკმაოდ ადვილად გაართვა თავი.

ნიკლას კიფერს კი აშკარად უყვარს ივო კარლოვიჩთან თამაში. გერმანელმა ხუთი ურთიერთშეხვედრიდან უკვე მეოთხედ გაამწარა მასზე ორი თავით მაღალი ხორვატი. თან კიფერმა მეტოქის იარაღითვე, ძლიერი და ზუსტი მოწოდების ხარჯზე იმარჯვა — კარლოვიჩზე მეტი ეისი არ გაუკეთებია, სამაგიეროდ, თავის ჩამოწოდებულზე გათამაშებების 95 პროცენტი მოიგო.

უფრო იღბლიანი დღე ჰქონდა მეორე ხორვატს, ახალგაზრდა მარინ ჩილიჩს, რომელმაც ანდრეას სეპის დაჯაბვნა საათნახევარში მოახერხა.

ადგილობრივებს იმედები გაუცრუა პოლ-ანრი მატიომ. ეს ბიჭი საკუთარი ტრიბუნების წინ მართლაც ძალიან უხეიროდ თამაშობს და აკი პარიზში მეორე წრის იქით ერთხელაც არ გასულა. წლეულს კი მატიომ კინკილა მატჩიც ვერ მოიგო და იგორ ანდრეევს თითქმის უომრად დანებდა.

**ქახა ლომჯაშვილი**

# დღეს ნბა-ს 63-ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აღმოსავლეთის კონფერენცია

### ატლანტის დივიზიონი

**ბოსტონ სელტიქსი**
ლიდერები: კევინ გარნეტი, პოლ პირსი, რეი ალენი, რაჯონ როგდო, კედრიკ პერკინსი
მწვრთნელი: დოკ რივერსი
შედეგი წინა სეზონში: 66 მოგება, 16 წაგება

**ფილადელფია სიქსერზი**
ლიდერები: ელტონ ბრენდი, ანდრე იგუდალა, ანდრე მილერი, სამუელ დალემბერტი
მწვრთნელი: მორის ჩიკსი
შედეგი წინა სეზონში: 40 მოგება, 42 წაგება

**ტორონტო რეპტორზი**
ლიდერები: კრის ბოში, ხოსე კალდერონი, ჯერმენ ონილი, ენტონი პარკერი, ჯამარიო მუნი
მწვრთნელი: სემ მიტჩელი
შედეგი წინა სეზონში: 41 მოგება, 41 წაგება

**ნიუ ჯერსი ნეთსი**
ლიდერები: ვინს კარტერი, დევინ ჰარისი, იი ძიანლიანი, ბრუკ ლოპესი
მწვრთნელი: ლოურენს ფრენკი
შედეგი წინა სეზონში: 34 მოგება, 48 წაგება

**ნიუ იორკ ნიქსი**
ლიდერები: ჯამალ კროუფორდი, ზაკ რენდოლფი, ედი კარი, ნეიტ რობინსონი
მწვრთნელი: მაიკ დანტონი
შედეგი წინა სეზონში: 23 მოგება, 59 წაგება

### ცენტრალური დივიზიონი

**დეტროიტ პისტონზი**
ლიდერები: ჩონსი ბილაფსი, რიჩარდ ჰამილტონი, რაშიდ ვოლესი, ტაიშონ პრინსი, როდნი სტაკი
მწვრთნელი: მაიკლ კარი
შედეგი წინა სეზონში: 59 მოგება, 23 წაგება

**კლივლენდ კავალიერზი**
ლიდერები: ლებრონ ჯეიმსი, მო უილიამსი, ჟიდრუნას ილგაუსკასი, ვალი შჩერბიაკი
მწვრთნელი: მაიკ ბრაუნი
შედეგი წინა სეზონში: 45 მოგება, 37 წაგება

**ჩიკაგო ბულზი**
ლიდერები: ლუოლ დენგი, კირკ ჰაინრიხი, დერიკ როუზი, ლარი ჰიუზი, ანდრეს ნოჩიონი, ბენ გორდონი
მწვრთნელი: ვინი დელ ნეგრო
შედეგი წინა სეზონში: 33 მოგება, 49 წაგება

**მილუოკი ბაქსი**
ლიდერები: მაიკლ რედი, რიჩარდ ჯეფერსონი, ენდრიუ ბოგუტი, ლუკ რიდნორი
მწვრთნელი: სკოტ სკაილზი
შედეგი წინა სეზონში: 26 მოგება, 56 წაგება

**ინდიანა პეისერზი**
ლიდერები: დენი გრეინჯერი, მაიკ დანლივი, ტიჯეი ფორდი, ტროი მერფი
მწვრთნელი: ჯიმ ობრაიენი
შედეგი წინა სეზონში: 36 მოგება, 46 წაგება

### სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონი

**ორლანდო მეჯიქი**
ლიდერები: დუაიტ ჰოვარდი, რაშარდ ლუისი, ჰედო თურქოღლუ, ჯამერ ნელსონი
მწვრთნელი: სტენ ვან განდი
შედეგი წინა სეზონში: 52 მოგება, 30 წაგება

**მაიამი ჰითი**
ლიდერები: დუეინ ვეიდი, შონ მერიონი, მაიკლ ბისლი, ადონის ჰასლემი
მწვრთნელი: ერიკ სპოელსტრა
შედეგი წინა სეზონში: 15 მოგება, 67 წაგება

**ატლანტა ჰოქსი**
ლიდერები: ჯო ჯონსონი, ჯოშ სმიტი, მაიკ ბიბი, ალ ჰორფორდი მარვინ უილიამსი
მწვრთნელი: მაიკ ვუდსონი
შედეგი წინა სეზონში: 37 მოგება, 45 წაგება

**შარლოტ ბობქეთსი**
ლიდერები: ჯერალდ ვოლესი, რიჩარდ ჯეფერსონი, ემეკა ოკაფორი, რაიმონდ ფელტონი
მწვრთნელი: ლარი ბრაუნი
შედეგი წინა სეზონში: 32 მოგება, 50 წაგება

**ვაშინგტონ ვიზარდსი**
ლიდერები: ჯილბერტ არენასი, კერონ ბატლერი, ანთაუნ ჯემისონი
მწვრთნელი: ედი ჯორდანი
შედეგი წინა სეზონში: 43 მოგება, 39 წაგება

ჩემპიონმა „ბოსტონმა“ შეინარჩუნა ოქროს შემადგენლობა, მაგრამ ეს მას ტახტის შენარჩუნების გარანტიას ვერ აძლევს. „კელტების“ ლიდერთა სამეული — გარნეტი-პირსი-ალენი — ერთი წლით დაბერდა, თანაც სპორტული კარიერის უმთავრესი საწადელი უკვე აისრულეს, ამასთან მათ წინააღმდეგ ყველა გაორმაგებული ჟინით ითამაშებს. ასე რომ, „ბოსტონს“ გაუჭირდება ზედიზედ მეორედ გაჩემპიონება.

„ფილადელფიას“ გასული სეზონის შედეგი ახლა აღარ დააკმაყოფილებს. „კლიპერსიდან“ ელტონ ბრენდის გადმობირების შემდეგ აღმოსავლეთში გოროზ ძალად იქცა და მისი ძლიერება მარტო ბრენდის ტორებშიც არაა. ასაკობრივადაც და ამპლუებითაც გაწონასწორებული ფილადელფიელები მზად არიან, „სელტიქსს“ დივიზიონის პირველობაში შეეცილონ.

„ტორონტო“ ისევ ის გუნდია და ვეტერანი ჯერმენ ონილის დამატება მას ვერ გააფავორიტებს, თუმცა პლეი ოფში გასვლა არ უნდა გაუჭირდეს, თუ მაინცდამაინც მხოლოდ ეს აკმაყოფილებს. ბევრს ელიან ესპანელი ხოსე კალდერონისგან. განსაკუთრებით ოპტიმისტები მასში ახალ კრის პოლს ხედავენ, თუმც ესპანელი ოლიმპიადის შემდეგ ცოტა მოღლილი ჩანს.

„ნიუ ჯერსიში“ ცვლილებების სიომ დაუბერა. ხელმძღვანელებმა გასული სეზონის მსვლელობისას „დალასში“ გაუშვეს ჯეისონ კიდი, სეზონის შემდეგ „მილუოკის“ აჩუქეს რიჩი ჯეფერსონი და რამე რომ იყოს, არც „სუპერტრიოს“ უკანასკნელ წევრ ვინს კარტერს „დაინდობენ“. წასულთა ნაცვლად მოსული დევინ ჰარისი და იი ძიანლიანი კი ჯერ ძალიან რბილ ფეხებზე დგანან ბობოლებთან საჭიდაოდ.

„ნიუ იორკში“ მისულ ახალ მწვრთნელ მაიკ დანტონიზე ჰკიდია ამ მუდმივად აწეწილი გუნდის ახლო მომავალი. ეს იტალიელ-ამერიკელი სპეციალისტი გუნდის აჩქარებას ეცდება, ოღონდ მისი რბილი ხმა მათრახის ტყლაშუნად ნამდვილად არ მოეჩვენებათ თავსგასულ ნიუიორკელებს.


ელტონ ბრენდი


ლებრონ ჯეიმსი

საშუალო გუნდებით გაჯერებულ ამ დივიზიონში „დეტროიტი“ ექვსი წელია პირველობს, მაგრამ ვითომ არ დადგა ულლის გადაგდების დრო? აგერ, „კლივლენდი“ იზრდება. „დეტროიტმა“ კი, 2004 წელს ჩემპიონი რომ გახდა, მას შემდეგ ორი მწვრთნელი გამოცვალა, ოღონდ აწყობილი გუნდი არ დაეშალა. არ დაიშალა, მაგრამ რომ დაიღალა? პლეი ოფში აღმოსავლეთს ვეღარ სცდება.

„კლივლენდმა“ კი, ლებრონ ჯეიმსისთვის ტვირთი რომ შეემსუბუქებინა, „მილუოკის“ მო უილიამსი წაჰგლიჯა და შეტევების ორგანიზატორად დანიშნა, ოღონდ მაშინ, როცა ლებრონი მოწყალედ ინებებს ბურთთან განშორებას. თავად ჯეიმსისგან კი სეზონის უძვირფასესი მოთამაშის კალიბრის სეზონს ელიან, ბარაქიან სტატისტიკასთან (30 ქულა, 8 მოხსნა, 7 პასი) ერთად.

„ჩიკაგოს“ იმდენი კარგი მოთამაშე ჰყავს, რომ არც კი იცის, ზოგიერთს რა მოუხერხოს. წლეულს კიდევ ერთი დაამატა — დრაფტის პირველი ნომერი დერიკ როუზი. ლარი ჰიუზი მსუბუქად დამტვრეულა, იოაკიმ ნოას თვალი სტკივა, ანდრეს ნოჩიონი წლეულსაც ვერ მოხვდება ხუთეულში, ბენ გორდონს კი თვალი გაქცევაზე უჭირავს. მოხვდება, პლეი ოფში? ვნახოთ...

„მილუოკი“ კვლავ ეცდება აღმოსავლეთის ზერველში მოხვედრას. მართალია, მო უილიამსი გაექცა, მაგრამ გამოცდილი ლუკ რიდნური და გასული სეზონის აღმოჩენა რამონ სეშენსი კარგი გამთამაშებლები არიან. მაიკლ რედი და ახალწვეული რიჩი ჯეფერსონი 20-20 ქულას უკაკუნებენ, ავსტრალიელი ცენტრი ენდრიუ ბოგუტი კი წლეულს მაინც ეცდება საშუალო ორმაგი დუბლის (10 ქულა, 10 მოხსნა) შესრულებას.

„ინდიანაც“ მილუოკის დღეშია, ვერა და ვერ გაიმართა — ტრავმები და პრობლემები არ ელევა. გუნდისთვის კარგია, ჯერმენ ონილი რომ წავიდა და უკეთესი იქნება, ჯამაალ ტინსლისაც თუ მოიშორებს, მით უფრო, რომ გამთამაშებელი მის გარდა ბარე სამი ჰყავს. გუნდს ისევ მაიკლ დანლივი-უმცროსი და დენი გრეინჯერი ულიდერებენ.

„ორლანდოს“ ლიგაში ერთ-ერთი უძლიერესი წინა ხაზი ჰყავს — სუპერცენტრი დუაიტ ჰოვარდი და უნივერსალური ფორვარდები, ჰედო თურქოღლუ და რაშარდ ლუისი, მაგრამ საშუალო გაქანების უკანა ხაზით მთლად მწვერვალებს ვერ დაიპყრობს. ამ ორმოს ამოსავსებად 21 მილიონი დაიხარჯა და „გოლდენ სტეიტიდან“ გამოიწვია მიშელ პიეტრუსი, მაგრამ ამით რა იცვლება?

„მაიამი“ გასული სეზონის შედეგებს უეჭველად გააუმჯობესებს, რადგან რომც მოინდომოს, მაინც ვერ გააუარესებს. თითქმის ბოლომდე მოკეთდა დუეინ ვეიდი, შონ მერიონიც ჯერჯერობით არ ითხოვს სხვაგან გაშვებას და დრაფტის მეორე ნომერმა, ბოხვერა მაიკლ ბისლიმაც თუ გაამართლა...

ზაზა ფაჩულიას „ატლანტა“ არც იქითაა და არც აქეთ. საუკეთესო სათადარიგო ჯოშ ჩილდრესი საბერძნეთში გაექცა, მის ნაცვლად კი სკამს ფილიპ მიურეი და მორის ევანსი შეავსებენ, დამხვდურ ქართველ ცენტრთან ერთად. ხუთეული იგივეა — ბიბი, ჯონსონი, უილიამსი, სმიტი, ჰორფორდი. მიზანიც — პლეი ოფი. მწვრთნელი მაიკ ვუდსონი შეგირდებს ახალ საფეხურზე ასვლას უკიჟინებს, მაგრამ შეძლებენ?! ასეთი გუნდი აღმოსავლეთში ბარე ათია.

„შარლოტი“ მეხუთე სეზონს იწყებს და აქამდე პლეი ოფთან ახლოსაც ვერმისული ლარი ბრაუნის იმედადაა — ლეგენდარული მწვრთნელი თავის მეცხრე გუნდთან იწყებს მუშაობას, თანაც უკვე ასაკშია და ნაკლებსავარაუდოა, საშუალოებში დაამკვიდროს. „ფოცხვერებს“ კარგად დაბალანსებული ხუთეული ჰყავთ, თუმც ყოჩი აკლიათ.

ერთი ცნობილ ქართველ ასტროლოგს რომ დავესესხოთ, „ვაშინგტონს“ ძაბინძურებული კარმა აქვს. ბომბარდირი ჯილბერტ არენასი მორიგი ოპერაციის სარეაბილიტაციო პროცესშია, სეზონის ბოლომდე დაიმტვრა ცენტრი ბრენდან ჰეივუდი და საგამოფენო მატჩებში ანთაუნ ჯემისონიც დაშავდა. განა რამდენი სამმაგი დუბლი უნდა შეასრულოს კერონ ბატლერმა?


დუეინ ვეიდი

# სეზონი დაიწყო

## დასავლეთის კონფერენცია

### სამხრეთ-დასავლეთის დივიზიონი

**სან ანტონიო სფურზი**
ლიდერები: ტიმ დანკანი, ტონი პარკერი, მანუ ჯინობილი, მაიკლ ფინლი, ბრიუს ბოუენი
მწვრთნელი: გრეგ პოპოვიჩი
შედეგი წინა სეზონში: 56 მოგება, 26წაგება

**ნიუ ორლეან ჰორნეთსი**
ლიდერები: კრის პოლი, დევიდ ვესტი, ტაისონ ჩანდლერი, პრედრაგ სტოიაკოვიჩი
მწვრთნელი: ბაირონ სკოტი
შედეგი წინა სეზონში: 56 მოგება, 26 წაგება

**ჰიუსტონ როკიტსი**
ლიდერები: ტრეისი მაკგრეიდი, იაო მინი, რონ არტესტი, ლუის სკოლა, რაფერ ელსტონი
მწვრთნელი: რიკ ადელმანი
შედეგი წინა სეზონში: 55 მოგება, 27 წაგება

**დალას მავერიკსი**
ლიდერები: დირკ ნოვიცკი, ჯეისონ კიდი, ჯოშ ჰოვარდი, ჯეისონ ტერი, ერიკ დამპიე
მწვრთნელი: რიკ კარლაილი
შედეგი წინა სეზონში: 51 მოგება, 31 წაგება

**მემფის გრიზლიზი**
ლიდერები: ოჯეი მაიო, რუდი გაი, ჰაკიმ უორიკი, მარკ გასოლი
მწვრთნელი: მაიკ იავარონი
შედეგი წინა სეზონში: 22 მოგება, 60 წაგება

### ჩრდილო-დასავლეთის დივიზიონი

**იუტა ჯაზი**
ლიდერები: დერონ უილიამსი, კარლოს ბუზერი, ანდრეი კირილენკო, რონი ბრიუერი
მწვრთნელი: ჯერი სლოუნი
შედეგი წინა სეზონში: 54 მოგება, 28 წაგება

**დენვერ ნაგიტსი**
ლიდერები: ალენ აივერსონი, კარმელო ენტონი, კენიონ მარტინი, ნენე ილარიო
მწვრთნელი: ჯორჯ კარლი
შედეგი წინა სეზონში: 50 მოგება, 32 წაგება

**პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი**
ლიდერები: ბრენდონ როი, ლამარკუს ოლდრიჯი, გრეგ ოდენი, სტივ ბლეიკი, ტრევის აუთლოო
მწვრთნელი: ნეიტ მაკმილანი
შედეგი წინა სეზონში: 41 მოგება, 41 წაგება

**მინესოტა ტიმბერვულვზი**
ლიდერები: ალ ჯეფერსონი, მაიკ მილერი, რენდი ფოი, კევინ ლავი
მწვრთნელი: რენდი უიტმენი
შედეგი წინა სეზონში: 20 მოგება, 62 წაგება

**ოკლაჰომა სიტი თანდერი**
ლიდერები: კევინ დურანტი, ჯეფ გრინი, კრის უილკოქსი, ნიკ კოლისონი
მწვრთნელი: ფიჯეი კარლესიმო
პირველი სეზონი ნბა-ში

### წყნარი ოკეანის დივიზიონი

**ლოს ანჯელეს ლეიკერსი**
ლიდერები: კობი ბრაიანტი, პაუ გასოლი, ლამარ ოდომი, ენდრიუ ბინამი, დერიკ ფიშერი
მწვრთნელი: ფილ ჯეკსონი
შედეგი წინა სეზონში: 57 მოგება, 25 წაგება

**ფინიქს სანზი**
ლიდერები: სტივ ნეში, ამარე სტუდემაიერი, შაკილ ონილი, ლეანდრო ბარბოსა
მწვრთნელი: ტერი პორტერი
შედეგი წინა სეზონში: 55 მოგება, 27 წაგება

**ლოს ანჯელეს კლიპერსი**
ლიდერები: ბაირონ დევისი, მარკუს კემბი, კრის კამანი, ალ ტორნტონი, კუტინო მობლი
მწვრთნელი: მაიკ დანლივი
შედეგი წინა სეზონში: 23 მოგება, 59 წაგება

**საკრამენტო კინგზი**
ლიდერები: კევინ მარტინი, ბენო უდრიჰი, ბრედ მილერი, ჯონ სალმონსი
მწვრთნელი: რეჯი თეუსი
შედეგი წინა სეზონში: 38 მოგება, 44 წაგება

**გოლდენ სტეიტ ვორიორზი**
ლიდერები: კორი მაგეტი, სტივ ჯეკსონი, ანდრის ბიედრინსი, ალ ჰარინგტონი, მონტა ელისი
მწვრთნელი: დონ ნელსონი
შედეგი წინა სეზონში: 48 მოგება, 34 წაგება


რონ არტესტი

უძლიერესი დივიზიონია, სადაც ერთბაშად ოთხ გუნდს აქვს უმაღლესი ამბიცია.

„სან ანტონიო“ ისევ ისაა, რაც წლების წინ იყო. გრეგ პოპოვიჩი არ ცვლის შემადგენლობას და ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტიტულს იგებს. ბრენტ ბერის წასვლა და სალიმ სტუდემაიერის მისვლა არაფერს შეცვლის. მაგრამ ლიდერები ხომ ბერდებიან... მომავალი პლეი ოფისთვის ტიმ დანკანი 33 წლისა იქნება, ბრიუს ბოუენი კი 38-ის! მანუ ჯინობილი ალბათ ახალ წლამდე გამოკეთდება.

„ნიუ ორლეანი“ შარშან გადასარევი იყო და წლეულს რაღა მოუვა? თუ კრის პოლს ტრავმამ არ წაუმურდლა კარიერა, ის თავისი ეპოქის საუკეთესო გამთამაშებელი გახდება, როგორებიც ჯეისონ კიდი და სტივ ნეში იყვნენ. თანაც „ნიუ ორლეანი“ განა მხოლოდ კრის პოლია...

„ჰიუსტონი“ წლეულს არნახულად გაძლიერდა (იდეაში მაინც) რონ არტესტის მისვლით. „რაკეტებს“ ლიგაში ერთ-ერთი ყველაზე მყვირალა შემადგენლობა ჰყავთ — იაო მინი, მაკგრეიდი, სკოლა, ელსტონი, ბეტიე, მუტომბო და აგერ, არტესტიც. წლეულსაც ვერ დაძლევენ პლეი ოფის თუნდაც ერთ რაუნდს? წარმოუდგენელია!

„დალასის“ მატარებელმა უკვე ჩაიარა. ნოვიცკი ველარასდროს იქნება ლიგის საუკეთესო მოთამაშე და ვერც ჯეისონ კიდი აჯობებს ახალ თაობას. ტუტუცი ჯოშ ჰოვარდით და თვითკმაყოფილი ჯეისონ ტერით ძნელია ოქროზე ფიქრი. თუმცა ეს გუნდი პლეი ოფში უეჭველად გავა.

„მემფისი“ ჯგუფის აშკარა აუტსაიდერი იყო და პაუ გასოლის „ლეიკერსში“ გადაბარგების შემდეგ ეს სტატუსი მნიშვნელოვნად გაიმყარა. პაუს უმცროსი ძმა მარკ გასოლი ჯერ ნალდად ბავშვია და ცოდოა ლიგის უძლიერეს ცენტრებთან ჭიდილში. გუნდის ნათელი წერტილია დრაფტის მესამე ნომერი ოჯეი მაიო, მაგრამ ჯერ არა იმდენად კაშკაშა, რომ მეტოქეებს თვალი მოსჭრას.

„იუტას“ გადაუყენებელ დირიჟორ ჯერი სლოუნს ორკესტრში არავინ შეუცვლია, უკანა რიგებში მსხდომნიც კი, მაგრამ საგამოფენო მატჩებში პირველი ვიოლინო დერონ უილიამსი გამოაკლდა და სოლტ ლეიკ სიტიში ლამის პანიკა ატყდა. მათდა ბედად, დერონი მხოლოდ რამდენიმე თამაშს გამოტოვებს. სხვანი კი ყველანი — ბუზერი, ოქური, ბრიუერი, კირილენკო, კორვერი, მილსარი — საღსალამათები ხვდებიან სეზონს.

„დენვერის“ ხელმძღვანელებს მობეზრდათ ერთთავად პლეი ოფის პირველი წრიდან გავარდნები და მწვრთნელ ჯორჯ კარლს რაღაცის შეცვლა მოსთხოვეს. ამან კი სუპერვარსკვლავებს — ალენ აივერსონსა და კარმელო ენტონის შეხება ვერ გაუბედა, განტევების ვაცად მუშა ცენტრი მარკუს კემბი აქცია და „კლიპერსს“ ჩალის ფასად დაუთმო. ახლა ალბათ ნენე ილარიოს დაუპირისპირებს ლიგის უმძლავრეს მეფარეებს, მაგრამ ამით ვერათერსაც ვერ მოიგებს

„პორტლენდი“ ჯერ კიდევ გასულ სეზონში იყო კარგი გუნდი დასავლეთში ერთ-ერთი უსუსტესი შემადგენლობით და გრეგ ოდენის გამოჯანმრთელების შემდეგ რაღას იზავს? რას და, ალბათ პლეი ოფში გავა, სავარაუდოდ „დენვერის“ ხარჯზე. ოდენი კარგი ცენტრი ჩანს, როი და ოლდრიჯი ალბათ მოუმატებენ და თუ ფერნანდეს-როდრიგესმაც გაამართლეს...

„მინესოტასთვის“ ეს სეზონიც გარდამავალი იქნება. „მგლებმა“ დრაფტზე ხელიდან გაუშვეს ნიჭიერი უკანახაზელი ოჯეი მაიო, რომელიც „მემფისმა“ ორი თეთრი ფორვარდის — მაიკ მილერისა და ახალბედა კევინ ლავის სანაცვლოდ დასტყუა. ახალგაზრდა სუპერმეფარე ალ ჯეფერსონი თუ არ მოუმატებს, არც მოუკლებს.

„სიეტლ სუპერსონიქსი“ ოდესღაც მშვენიერი გუნდი იყო, მაგრამ მერე დაძაბუნდა და მის საძირკველზე ახალი კლუბი „ოკლაჰომა სიტი თანდერი“ აღმოცენდა, რომელიც თავის პირველ სეზონს იწყებს „სიეტლის“ შემადგენლობით. კევინ დურანტი ისევ ლიდერი იქნება. სხვებზე კი რამის თქმა არც ღირს.


გრეგ ოდენი


ბაირონ დევისი

სეზონი ჯერ არ დაწყებულა და „ლეიკერსს“ უკვე გვირგვინი დაადგეს თავზე. ყველგან გაისმის ხმები, რომ კობის და კომპანიას მომავალ პლეი ოფში ჩემპიონობას ვერავინ შეეცილება — ვერც მოქმედი ჩემპიონი „ბოსტონი“ და ვერც ვინმე სხვა. თანაც გამოჯანმრთელდა ახალგაზრდა ცენტრი ენდრიუ ბინამი და კარგ ფორმაში არიან სხვებიც — კობი (ამასწინათ ცოტა დაშავდასავით), გასოლი, ოდომი, რადმანოვიჩი, ფიშერი, ფარმარი...

„ფინიქსი“ რთულ მეტამორფოზას განიცდის — წლების განმავლობაში უსწრაფესად შემტევი გუნდი დაცვას სწავლობს. ახალმა მწვრთნელმა ტერი პორტერმა საწყალ სტივ ნეშს ამ სიბერეში დააწყებინა საკუთარ ნახევარზე მუშაობა. შაკი დაბერდა, ამარე კი მცირედ ტრავმირებულია... მოკლედ, არავინ იცის, რა გამოუვათ „ფინიქსელებს“.

ანგარიშგასაწევ ძალად იქცა „კლიპერსი“. ბაირონ დევისი სპორტული ფორმის პიკზეა და თუ არ დაიმტვრა, შეუძლია მთელი გუნდი ღონივრად აათამაშოს. მარკუს კემბიც შესაშური შენაძენია. და მაშინ როდესაც გუნდს ასეთი ცენტრი და გამთამაშებელი ჰყავს, პლეი ოფში გასვლა-არგასვლაზე ვინმე დაეჭვდება? თანაც სხვებიც კარგები არიან.

„საკრამენტო“ გარდამავალ ასა... უკაცრავად, პროცესშია და ცხრილის ფსკერზე მოუწევს ამ პერიოდის გადატანა, თუმც ისე მაინც არ დაძაბუნდება, დასავლეთში მეთხუთმეტე გუნდად დაილექოს.

ეჰ, რა აწყობილი გუნდი დაიშალა? „გოლდენ სტეიტი“ შარშან გავიდა პლეი ოფში, მაგრამ მერე დასავლეთის უზარმაზარ კონკურენციაში 48 მოგებაც ვერ ეყო და დაინგრა ეს წვალებით ნაშენები გუნდი. მოხუცი დონ ნელსონის შეგირდები წლეულს უშანსოდ დარჩნენ, მით უმეტეს 20-ქულიანი მონტა ელისის დამტვრევის შემდეგ. კორი მაგეტით, სტივ ჯეკსონითა და ანდრის ბიედრინსით ბევრს ვერ შეძლებენ.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ვანტუმდე ჯერ შორია

## კონტადორს და არმსტრონგს მომავალი ტურის მარშრუტი მოეწონათ

**რამდენიმე** დღის წინ „ტურ დე ფრანსის" ორგანიზატორებმა 2009 წლის „ტურის" მარშრუტი გამოაქვეყნეს, რომელიც ძალიან საინტერესოა და მნიშვნელოვნად განსხვავდება ბოლო წლების მარშრუტებისგან.

ყველაზე აღსანიშნავი მომენტი ლეგენდარული ვანტუს მთაა, რომელიც „ტურის" გზაზე ლენს არმსტრონგისა და მარკო პანტანის ეპიკური დაპირისპირების შემდეგ აღარ ყოფილა. თანაც ვანტუს აღმართი მწვერვალზე ფინიშით ბოლოსწინა ეტაპზეა და როგორც „ტურის" დირექტორმა კრისტიან პრიუდომმა ბრძანა, „რბოლის ლიდერი ვერ იტყვის, მე ორწუთიანი უპირატესობა და თავი ქუდში მაქვსო".

ვანტუს მთის გარდა კიდევ ექვსი სამთო ეტაპია — სამი პირინეებში და სამიც ალპებში. შვიდი სამთო ეტაპიდან სამის ფინიში აღმართშია და კიდევ ერთი ეტაპი კი აღმართში ფინიშით, საშუალო მთიანეთში ჩატარდება.

2005 წლის შემდეგ პირველად, „ტურის" მარშრუტში გუნდური რბოლაა — 38-კილომეტრიანი ეტაპი განრიგში მეოთხეა. რაც შეეხება ინდივიდუალურ რბოლებს, ასეთი სულ ორი იქნება და მათი საერთო სიგრძე მხოლოდ 55 კილომეტრს შეადგენს. და ეს მაშინ, როდესაც „ტურზე", ტრადიციულად, მარტო ერთი ინდივიდუალური ეტაპი უფრო გრძელი არის ხოლმე. კონკრეტულად, საგაისო „ტური" 4 ივნისს მონაკოში 15-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლით დაიწყება, მე-18 ეტაპის სიგრძე კი 40 კილომეტრი იქნება.

როგორც ამბობენ, ეს ყველაფერი შარშანდელი ჩემპიონის, ალბერტო კონტადორის წისქვილზე ასხამს წყალს და ესპანელი თავადაც კმაყოფილია რბოლის მარშრუტით. „ვფიქრობ, ყველაფერი ვანტუმდე გაირკვევა, მაგრამ მას, ვისაც ამ დროისთვის ლიდერის ყვითელი მაისურა ეცმევა, მაინც ტკბილად დააწვება ლეგენდარული მთის სიმაღლე — განაცხადა ალბერტომ და დაამატა — რაც უფრო ბევრს ვუყურებ ამ მარშრუტს, მით უფრო მომწონს. თანაც ინდივიდუალური ეტაპები მოკლეა და იქ ცოტას წავაგებ. ასევე მომწონს მეექვსე ეტაპის ფინიში ბარსელონაში, მონჟუიკის მთაზე, სადაც ოდესღაც გამარჯვება მომიპოვებია".

სტარტი მონაკოში, შემდეგ ესპანეთი და ანდორა და ამას გარდა მომავალი „ტურის" გზა ალპური ეტაპებისას შვეიცარიასა და იტალიაშიც გაივლის, სულ კი მრბოლებს, დაახლოებით 3450 კილომეტრი ექნებათ გასავლელი.

კონტადორის მსგავსად, საგაისო „ტურის" მარშრუტი დიდ ველოსპორტში დაბრუნებულ ლენს არმსტრონგსაც მოსწონს, ძალიან საინტერესო გზა არისო ამბობს, თუმც ჯერაც არ იცის, მიიღებს თუ არა ფრანგულ სუპერრბოლაში მონაწილეობას. „ადრე „ტურის" ორგანიზატორებთან საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა მქონდა, მაგრამ ახლა სხვა ხალხია ხელმძღვანელობაში და ვიმედოვნებ, რომ მათთან მოლაპარაკებების შემდეგ საერთო ენას გამოვნახავთ" — განაცხადა ძიადმა ამერიკელმა. კრისტიან პრიუდომის სიტყვებით კი, გამოვა თუ არა საგაისო „ტურზე", ეს თავად არმსტრონგის გადასაწყვეტია და მათთვის ამერიკელი ისეთივე სპორტსმენია, როგორც ყველა დანარჩენი.

მთლად ასე არ ფიქრობს ყაზახური ველოგუნდის „ასტანას" გენერალური მენეჯერი და არმსტრონგის პირადი მეგობარი იოჰან ბრიუნელი. „ლენსს „ტურზე" გამოსვლა უნდა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიმართ ნორმალური დამოკიდებულება იქნება. პრიუდომმა განაცხადა, რომ მიესალმება არმსტრონგის დაბრუნებას, მაგრამ ის ძველი დოპინგ-ტესტების გადამოწმებას და კიდევ უამრავ რამეს ითხოვს. არადა, ლენსს უბრალოდ „ტურზე" გამოსვლა და გამარჯვება სურს. თუ ფრანგული სუპერრბოლის ორგანიზატორები არმსტრონგს დაბრკოლებებს შეუქმნიან, მაშინ ის მთლიანად „ჯირო დიტალიაზე" გააკეთებს აქცენტს" — ბრძანა ბრიუნელმა.

და მაინც, თუ არმსტრონგი „ტურზე" გამოვა, გამარჯვების რა შანსი ექნება? დიდი ესპანელის, „ტურის" ხუთჯერ მომგები მიგელ ინდურაინის აზრით, ლენსს ძალიან გაუჭირდება ძველ სიმაღლეზე დაბრუნება. იგივეს ფიქრობს კონტადორიც, ვისაც „ასტანაში", სწორედ არმსტრონგთან მოუწევს ლიდერობისთვის ბრძოლა. „ვფიქრობ, არმსტრონგი უფრო მეტს წააგებს, ვიდრე მოიგებს. მისთვის ძველ დონეზე დაბრუნება ურთულესი, მაგრამ არა შეუძლებელი იქნება, რადგანაც ის დიდი ჩემპიონია" — განაცხადა კონტადორმა.




კრისტიან პრიუდომმა 2009 წლის „ტურ დე ფრანსის" მარშრუტი წარმოადგინა



## რეგულარული ჩემპიონატი

27 ოქტომბერი

**ბუფალო 2:5 ოტავა**

*0:1 0:3 2:1*

0:1 შუბერტი (19), 0:2 ჰიტლი (21), 0:3 სპეცა (25), 0:4 სპეცა (39), 0:5 დონოვანი (46), 1:5 მაკარტური (55), 2:5 ნუმინენი (60)

**აილენდერსი 2:4 რეინჯერსი**

*1:1 0:1 1:2*

0:1 დრური (1), 1:1 ოკპოსო (20), 1:2 კალაჰენი (37), 1:3 გომესი (47), 1:4 დრური (53), 2:4 შტრაიტი (59)

**კოლუმბუსი 2:3 ანაჰაიმი**

*1:1 1:0 0:2*

0:1 გეცლაფი (2), 1:1 ნოვოტნი (5), 2:1 ბრაშარი (31), 2:2 პერი (50), 2:3 სელიანე (57)

**მინესოტა 3:2 ჩიკაგო**

*1:1 2:0 0:1*

0:1 შარპი (14), 1:1 ბრიუნე (18), 2:1 მიეტინენი (25), 3:1 ბარნსი (34), 3:2 კიტი (56)

**ედმონტონი 0:1 ბოსტონი**

*0:0 0:0 0:0 0:1 (ოვერტაიმში)*

0:1 ვაიდმენი (64)

**ლოს ანჯელესი 3:4 დეტროიტი**

*1:1 1:1 1:1 0:0 (0:1 ბულიტებით)*

0:1 ზეტერბერგი (6), 1:1 მელერი (11), 2:1 კოლდერი (22), 2:2 ჰოსა (30), 3:2 ფროლოვი (41), 3:3 ფილპულა (59)

# იგინლას კვირა

**აწ** გასრულებული კვირის საუკეთესო მოთამაშის ტიტული „კალგარის" კაპიტან ჯერომ იგინლას ერგო. არადა, კანადურმა გუნდმა და მისმა ლიდერმაც სეზონი ძალიან მძიმედ დაიწყეს — „ალებმა" პირველ 4 შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ იხეირეს. არც იგინლა ტოვებდა ხეირიან შთაბეჭდილებას, რადგანაც მეტოქეებთან ჩხუბით უფრო გამოირჩეოდა, რითაც დამრიგებელი მაიკ კინენი მაგრადაც გააბრაზა.



ჯერომ იგინლა

„კალგარის" თითქოს არც ამ კვირაში ელოდა იოლი ცხოვრება. ჰოდა, ვის თუ არა იგინლას უნდა გამოეყვანა თავისი გუნდი მძიმე მდგომარეობიდან. კაპიტანმა ჯერ „ვაშინგტონთან" შეაგდო გამარჯვების შაიბა, შემდეგ კი თავი ნეშეილში გამოიჩინა. მეტიც, „მტაცებლებთან" შეხვედრაში იგინლამ ქვა-ქვაზე არ დატოვა მეტოქის დაცვისგან, ჰეთ თრიქი შეასრულა და ამას შედეგიანი გადაცემაც დაურთო.

კვირის ბოლოს „კალგარიმ" ფინიქსში იხეირა, კაპიტანი კი შაიბითა და ორი საგოლე პასით გამოირჩა და საერთო მონაგარი 7 (5+2) ქულამდე აიყვანა.

აი, „კოლორადოში" კი დიდი იმედი აქვთ, რომ პეტერ ბუდაი სეზონის დარჩენილ ნაწილსაც იმ დონეზე ითამაშებს, როგორც წინა კვირაში. ჩემპიონატის დაწყების წინ დენვერელთა მთავარ პრობლემას გამოცდილი მეკარის არყოლა წარმოადგენდა, მაგრამ სლოვაკმა კიპერმა თუ ახლანდელი ფორმა შეინარჩუნა, მაშინ „ზვავებმა" ყველა პროგნოზის საპირისპიროდ უნდა შეძლონ პლეი ოფში მოხვედრა. თუმც იქამდე ძალიან დიდი დროა, სეზონი ახალი დაწყებულია და ამაზე ახლა საუბარი ნამდვილად არ ღირს. უმჯობესია, ბუდაის მიერ გასულ კვირაში ჩადენილ გმირობებს მივუბრუნდეთ — სლოვაკმა სამ შეხვედრაში ითამაშა და ყველაში იმარჯვა, თან საშუალოდ, მხოლოდ 1,62 შაიბას უშვებდა და მისი კარისკენ დარტყმულის 94,1 პროცენტს იგერიებდა. „კოლორადომ" კი საშინელი სტარტის შემდეგ, როცა ზედიზედ სამი თამაში წააგო, მდგომარეობა მეტ-ნაკლებად რიგიანი გაიხადა.

კვირის მესამე ვარსკვლავი ჩემპიონ „დეტროიტის" ახალწვეულ მარიან ჰოსას ერგო. ამ ბიჭს დამატებითი მოტივაცია ამოძრავებს — სლოვაკს მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს „წითელ ფრთებთან" და ახლა იმის დამტკიცება მოუწევს გუნდის ხელმძღვანელობისთვის, რომ უფრო ხანგრძლივ თანამშრომლობას იმსახურებს.

მართალია, ჰოსას თავიდან არ აეწყო თამაში და კარგა ხანს უგოლოდაც იყო, მაგრამ ნელ-ნელა შეეგუა გარემოსა და ახალ პარტნიორებს და თავისი კლასიც გამოაჩინა. სლოვაკმა კვირა არცთუ სახარბიელოდ დაიწყო და „სენტ ლუისთან" მხოლოდ ერთი საგოლე გადაცემა გააკეთა. სამაგიეროდ, ყოფილ გუნდ „ატლანტასთან" იყოჩაღა და შესრულებულ დუბლს კიდევ ერთი შედეგიანი გადაცემა დაურთო. ბოლოს ჰოსამ „ჩიკაგო" გაამწარა, რომელთანაც ასევე თითო შაიბა და საგოლე პასი მიითვალა, შემდეგ კი გამარჯვების მომტანი ბულიტიც შეაგდო. მთლიანად სეზონში სლოვაკის ანგარიშზე უკვე 11 (4+7) ქულაა.

**კახა ლომაშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოტაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge